# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 აგვისტო 2007 №188 (3111)

ფასი 50 თეთრი


# ქართული ფეხბურთის სახლი გაყიდვას გადაურჩა!



უცნაური ამბავი შევიტყვეთ გუშინ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობა იყიდებაო!

ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელი კი იყო ეს ცნობა, მაგრამ საქმეს რომ მივყევით, აი, რა გამოვიდა: 2001 წელს, როცა ფეხბურთის ფედერაციამ ახალი ოფისის აშენება გადაწყვიტა, სავარაუდო ადგილად რამდენიმე ვარიანტი დასახელდა. ცოტა ხანში გადაწყდა, რომ ფედერაციის ოფისი ჭავჭავაძის გამზირზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ტერიტორიაზე აშენდებოდა.

როგორც გაირკვა, ეს მიწის ნაკვეთი მაშინდელ ფედერაციას უსასყიდლოდ გადაეცა, მარტივად რომ ვთქვათ, აჩუქეს.

ახლა კი, როცა კანონებში ცვლილებები შევიდა და სახელმწიფომ ძველი გარიგებების გადახედვა დაიწყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობაც „შავ სიაში“ მოხვდა.

ბუნებრივია, ამ ამბის შემდეგ ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავუკავშირდით, რომელმაც ფაქტი დაგვიდასტურა, თუმცა ისიც გვითხრა, პრობლემა ფაქტობრივად მოგვარებულია და შენობას გაყიდვა აღარ ემუქრებაო.

კობა ინასარიძე

# მოდით, გავრისკოთ!

## დღეს: უჰრინი რაპიდს ჰლაჟს არ ჰპირდება



UEFA CUP










# დღეს: ისტორიული კონტრაქტი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გუშინდელ კონფერენციაზე ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დღეს სასტუმრო „მარიოტში“ პროფლიგასა და ქართულ-უცხოურ მედია-კომპანია „კოლხიდას“ შორის გაფორმდეს მემორანდუმი, რომელიც ოფიციალური კონტრაქტის სახეს სექტემბრის მეორე დეკადაში მიიღებს.

ახლა ცოტა უფრო დეტალურად: პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს თავის დროზე გაუჩნდა იდეა, რომელიც მოგვიანებით დაინტერესებულ ხალხს გააცნო და მათაც მედია-კომპანიის ინვესტირება გადაწყვიტეს. „კოლხიდა“ ქართველმა და უცხოელმა ბიზნესმენებმა ახლახან ჩამოაყალიბეს, გამოცდილ მენეჯერებთან ერთად შეისწავლეს ქართული საფეხბურთო ბაზარი და პროფლიგას საფეხბურთო მატჩების ტელე და სარეკლამო უფლებების გაყიდვა სთხოვეს და გუშინდელ კონფერენციაზეც სწორედ ეს საკითხი მოგვარდა. კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს, გეტყვით: პროფლიგამ „კოლხიდას“ ის ტელე და სარეკლამო უფლებები მიჰყიდა, რაც აქამდე ეკუთვნოდა და აწი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე რეკლამების განთავსების და ტელე-რეპორტაჟების მსურველებს საქმე სწორედ „კოლხიდასთან“ ექნებათ.

როგორც ცნობილია, „კოლხიდა“ უკვე ახლოსაა ერთ-ერთ ქართულ ტელეკომპანიასთან კონტრაქტთან და ჩვენი ჩემპიონატის ყოველი ტურის ერთი მთავარი მატჩი სწორედ ამ კომპანიის ეთერით გადაიცემა. ცხადია, იქნება პირდაპირი რეპორტაჟი და იგივე ხარისხის, როგორიც საქართველოს თასის 26 მაისის ფინალისას იყო. მოწვეულნი იქნებიან უცხოელი პროდიუსერები და ისინი უზრუნველჰყოფენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ტელე-ჩვენებას. ტურის ცენტრალური მატჩის გარდა, დაგეგმილია დანარჩენი შეხვედრების ოთხ-ოთხი კამერით გადაღება და კვირადღის საღამოს ეთერში მთლიანი ტურის საფუძვლიანი მიმოხილვა, რომელშიც ჟურნალისტებისა და სპეციალისტების გარდა მონაწილეობას მიიღებენ პოპულარული ადამიანები.

წლეულს და გაისად ტელე და სარეკლამო უფლებებისთვის „კოლხიდა“ პროფლიგას ფიქსირებულ თანხას გადაუხდის, რომელიც ყოველ მომდევნო სეზონში ორჯერ გაიზრდება. ხოლო როცა „კოლხიდა უკვე მოგებას ნახავს, მოგების 60 პროცენტს პროფლიგას გადასცემს. ეს ფულის დიდი ნაწილი კი, ცხადია, ქართულ კლუბებს მოხმარდება.

მოკლედ, დღეს „მარიოტში“ ქართული ფეხბურთისთვის ისტორიულ შეთანხმებას მოეწერება ხელი და მერე ვნახოთ, მთელი მსოფლიოს ფეხბურთი ხომ ტელე და სარეკლამო უფლებებით ხეირობს...

**კობა ინასარიძე**

# ვინ არის დინამოს მთავარი ლეგიონერი

## გიორგი ტყავაძე: ვაჩვენოთ ავსტრიელებს შეცდომა

თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი გიორგი ტყავაძე გუშინ ვენის „რაპიდის“ ვარჯიშსაც დაესწრო და შემდეგ თავის გუნდსაც შეავლო თვალი. საინტერესოა, რას ფიქრობს „დინამოს“ ხელმძღვანელი დღევანდელ თამაშზე — ტყავაძეს ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ...



— რას იტყვით ვენის „რაპიდზე“, როგორი გუნდია?

— „რაპიდი“ ავსტრიის ყველაზე ტიტულიანი კლუბია და, ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

— რას ელით ამ მატჩისგან?

— მინდა, კარგი თამაში იყოს. იმედია, ჩვენი ფეხბურთელები საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენენ შესაძლებლობებს და სასურველ შედეგსაც მიაღწევენ.

— მაინც შანსებს როგორ აფასებდით?

— არ მიყვარს შანსებზე საუბარი და არც პროგნოზებს ვაკეთებ.

— „რაპიდის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს შესახებ ბევრი შეურაცხმყოფელი წერილი გამოქვეყნდა. ამ ამბავს თუ მოჰყვა შესაბამისი რეაგირება თქვენი მხრიდან?

— კლუბმა ბოდიში უკვე მოიხადა. ისე კი, მათ ახლა ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ცდებიან. ჩვენზე რაც იყო დამოკიდებული, ყველაფერი შეძლებისდაგვარად გავაკეთეთ.

— „რაპიდს“ საკმაოდ ბევრი გულშემატკივარიც ჩამოჰყვა...

— ქართველმა ქომაგმა თავად უნდა შეაფასოს, მოსწონს თუ არა „დინამოს“ თამაში და იმის მიხედვით გადაწყვიტოს, მოვა თუ არა სტადიონზე. მგონი, ფეხბურთში გულშემატკივრების გარეშე რაიმე სერიოზული წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია.

— ქართველმა ქომაგებმა სულ რამდენიმეჯერ ნახეს „დინამოს“ გაბონელი ლეგიონერები, მეკარე დიდიე ოვონო და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი და ყველა ალიარებს, რომ საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან. თქვენ კმაყოფილი ხართ ამ შენაძენებით?

— კონკრეტულად ამ ფეხბურთელებზე ვერ ვილაპარაკებ. ყველა ლეგიონერით კმაყოფილი ვარ — ნედ ზელიჩი და მილოშ კრშკო მშვენივრად თამაშობენ, ტრავმირებული რომან დობეშიც აუცილებლად მოუმატებს, რაც. შეეხება ილია სპასოევიჩს, თავიდანვე ვიცოდით, რომ იგი ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელია. კიდევ ერთი ლეგიონერი არ დაგვავიწყდეს — ჩეხი დუშან უჰრინი. მანაც გაამართლა ჩვენი იმედები.

**ნუკრი ლოლაძე**

# გაბონელი ქართველები კესან-ოვონო-აკირემის ჟირესმა დაუ[illegible]



საქართველოს ჩემპიონატში სამი გაბონელი ფეხბურთელი — პოლ კესანი, დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი — თამაშობს.

საინტერესოა, რომ სამივე მათგანი გაბონის ეროვნულ გუნდშია გამოძახებული. ამ ქვეყნის ნაკრებს კი, გეცოდინებათ, საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ფრანგი ალენ ჟირესი თავკაცობს.

21 აგვისტოს გაბონელები ამხანაგურად ბენინის ნაკრებს გაეჯიბრება, 8 სექტემბერს კი აზიის თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე კოტ დივუარს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ კესანი „ზესტაფონში“ თამაშობს, ოვონო და აკირემი კი — თბილისის „დინამოში“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

**ტულუზი (საფრანგეთი) 0:1 ლივერპული (ინგლისი)**
0:1 ვორონინი (43)

**სპარტაკი (რუსეთი) 1:1 სელტიკი (შოტლადია)**
0:1 ჰარტლი (20), 1:1 პავლიუჩენკო (42)

**ტამპერე (ფინეთი) 0:3 რუსენბორგი (ნორვეგია)**
0:1 კოპინენი (19), 0:2, 0:3 ი. კონე (21, 83)

**ბატე (ბელარუსი) 2:2 სტიაუა (რუმინეთი)**
1:0 რადკოვი (43), 1:1 გოიანი (58), 1:2 დიკა (84), 2:2 ბლიზნიუკი (90)

**ფენერბაჰჩე (თურქეთი) 1:0 ანდერლეხტი (ბელგია)**
1:0 ალექსი (32)

**სარაევო (ბოსნია) 0:1 დინამო (კიევი, უკრაინა)**
0:1 შაცკიხი (14)

**ციურიხი (შვეიცარია) 1:1 ბეშიქთაში (თურქეთი)**
0:1 დელგადო (4), 1:1 ალფონსე (90)

**აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 სლავია (ჩეხეთი)**
0:1 კალივოდა (76პ)

**ზალცბურგი (ავსტრია) 1:0 შახტარი (უკრაინა)**
1:0 ციკლერი (103)

**ვერდერი (გერმანია) 2:1 დინამო (ზაგრები, ხორვატია)**
0:1 ბალაბანი (45), 1:1 ალმეიდა (46), 2:1 დ. იენსენი (85)

**სევილია (ესპანეთი) 2:0 აეკ (საბერძნეთი)**
1:0 ლ. ფაბიანო (48), 2:0 კანუტი (67)

**სპარტა (ჩეხეთი) 0:2 არსენალი (ინგლისი)**
0:1 ფაბრეგასი (72), 0:2 გლები (90)

## ინგლისი

### პრემიერლიგა. I ტური

ბირმინგემი 2:2 სანდერლენდი
ფულემი 2:1 ბოლტონი
სიტი 1:0 დერბი
პორტსმუთი 1:1 მანჩესტერი
რედინგი 1:2 ჩელსი
უიგანი 1:0 მიდლსბრო

### კონფერენსლიგა II ტური

ალდერშოტი 0:3 ტორკი
გრეისი 1:1 უოკინგი

### ლიგის თასი. I ეტაპი

ძრიუ 0:3 ჰალი
ვულვზი 2:1 ბრედფორდი

## იაპონია

### ჯეილიგა. XX ტური

ნიიგატა 4:0 ნაგოია
კავაზაკი 1:2 მარინოსი
ომია 1:3 კობე
გამბა 0:1 ურავა
ჯუბილო 5:2 ტოკიო
კაშიმა 3:1 ჯეფ იუნაიტედი
კაშივა 2:0 ჰიროშიმა
ოიტა 3:4 შიმიცუ
იოკოჰამა 0:2 კოფუ

## იტალია

### თასი. I ეტაპი

აველინო 0:2 ასკოლი
ბარი 1:0 ალბინოლეფე
ტრევიზო 2:2დ.დ. (პ4:3, 1:1) ლეჩე
ტრიესტინა 1:0 მანტოვა
ჯენოა 2:1 გროსეტო
ნაპოლი 4:0 ჩეზენა
პიზა 2:1 ბრეშა
რავენა 1:0 კიევო
რიმინი 6:0 ფროზინონე

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. III ტური

ვალენსიენი 2:1 მარსელი
ბორდო 1:2 ლე მანი
ლილი 1:1 სოშო
მონაკო 2:0 მეცი
პსჟ 1:3 ლორიანი
სტრასბური 3:0 ოსერი
რენი 1:0 სენტ ეტიენი

## ამხანაგური მატჩები

ბაიერნი 0:1 ბარსელონა
კასტელონი 0:0 მურსია
ლას პალმასი 1:2 ლევანტე
ბეტისი 1:0 რეალი

## შოტლანდია

### თასი. I ეტაპი

არბროთი 2:0 ალოა

# უეფას თასი 2007-08. II ეტაპი. პირველი მატჩი





თბილისი. 16 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი

## დინამო — რაპიდი

მსაჯები: ტ. მიკულსკი, პ. სადჩუკი, რ. სიეჯკა, მ. მიკოლაიევსკი (ყველა პოლონეთი); უეფას დელეგატი: ი. დუპანოვი (ბელარუსი)

თბილისის „დინამო" დღეს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს იწყებს — მეტოქე სახელოვანია, ავსტრიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ვენის „რაპიდი", რომელიც გუშინ ნაშუადღევს ქომაგებთან და ჟურნალისტებთან ერთად ჩამოფრინდა. მოგვიანებით კი სტუმრებმა, ყველამ ერთად, „მიხეილ მესხს" მიაშურეს. კოლეგები პრესლოჟით, სამუშაო პირობებითა და, ზოგადად, აქაური ამბებით დაინტერესდნენ, ქომაგებმა, ასე ვთქვათ, სტადიონის „აკუსტიკა" მოსინჯეს, გუნდი კი საქმეს შეუდგა და მატჩისწინა ვარჯიშ-მოთელვა ჩაატარა...

# მოდით, გავრისკოთ!

## უჰრინი რაპიდს პლაჟს არ ჰპირდება

სტუმრებამდე „მიხეილ მესხზე" მასპინძელთა მწვრთნელი დუშან უჰრინი, მისი თანაშემწე კახა კაჭარავა და „დინამოს" კაპიტანი დავით დიღმელაშვილი გამოჩნდნენ. ისინი ავსტრიელთა მოსვლამდე ჟურნალისტებს შეგვხვდნენ, შემდეგ კი დანარჩენ ფეხბურთელებთან და კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად მეტოქის ვარჯიშს უცქირეს.

— გუნდში საბრძოლო განწყობაა, დიდი იმედი გვაქვს, რომ შეხვედრას ჩვენთვის ხელსაყრელი ანგარიშით დავამთავრებთ — თქვა დუშან უჰრინმა — „რაპიდის" ორი მატჩი ვნახე, ერთს თავად დავესწარი, ხოლო მეორე, ყაზანის „რუბინთან" — ფირზე. „რაპიდს" „რუბინთან" პირველი შეხვედრა 3:1 ჰქონდა მოგებული და საპასუხო მატჩში ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაშობდა, ავსტრიელებს დაცვაზე ჰქონდათ აქცენტი. არა მგონია, „რაპიდმა" თბილისში ასეთივე ტაქტიკით ითამაშოს, ალბათ ოდნავ მაინც გაიხსნებიან, ჩვენ კი სასურველი ანგარიშის მისაღწევად შესაძლოა, გავრისკოთ კიდეც, მით უმეტეს, შინ ვთამაშობთ.

...მართალია, ჩეხეთის ჩემპიონატის მატჩები კარგა ხანია, არ მინახავს, მაგრამ მაინც, „სპარტა", „სლავია" და „ბოლესლავი", ალბათ, „რაპიდზე" კარგი გუნდები არიან და უკეთეს ფეხბურთს თამაშობენ...

...ის ტაქტიკური მონახაზი, რომელიც „ვადუცთან" გამოვიყენეთ, „რაპიდთან" არ ივარგებს. ტაქტიკა შეიცვლება, მაგრამ მთლიანობაში რაიმე განსაკუთრებულს არ ვაპირებთ, რაც ვიცით, იმას ვითამაშებთ...

–„დინამოც" და „რაპიდიც" თავიანთი ქვეყნების ყველაზე ტიტულოვანი და სახელოვანი კლუბები არიან, მაგრამ ამ წყვილს შორის ფავორიტად მაინც ავსტრიელები მიმაჩნია. ოღონდ ამ ნათქვამს სხვანაირად ნუ გაიგებთ, ჩვენ ძალების მაქსიმუმს გამოვიყენებთ „რაპიდის" დასამარცხებლად. „დინამოს" კოზირი „დინამოს" თამაშის მანერაა და დარწმუნებული ვარ, ავსტრიელებს ბევრს ვანერვიულებთ...

–ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, სანდრო იაშვილის წასვლის შემდეგ „დინამომ" მიიღო თუ არა მისი სრულფასოვანი შემცვლელი. უიაშვილოდ ჩვენ სულ სამი ოფიციალური მატჩი ვითამაშეთ. ახლა გვყავს გაბონელი ფორვარდი ჟორჟ აკირემი, მაგრამ მას კიდევ სჭირდება დრო, რათა გუნდს შეეწყოს და საუკეთესო თვისებები ბოლომდე გამოავლინოს...

–დღეს ვერ გეტყვით, დაცვის მარცხენა ფლანგზე ჩეხი რომან დობეში ითამაშებს თუ გურამ კაშია. ბოლო ორი მატჩი ამ პოზიციაზე გურამმა საკმაო კარგად ჩაატარა, დობეში კი ტრავმირებული იყო. ვნახოთ, მატჩამდე კიდევ ორჯერ ვივარჯიშებთ და გამოჩნდება, რომელია უკეთეს ფორმაში...

...„ვადუცთან" პირველი მატჩის მეორე ტაიმი „დინამომ" საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, ლიხტენშტაინში კი ანგარიშის შენარჩუნებაზე ვითამაშეთ და შესვენების შემდეგ იქაც შეგვეძლო სამი-ოთხი გოლის გატანა. მერე საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყო და რუსთავში ჩემპიონ „ოლიმპს" მოვუგეთ, ახლა კი „რაპიდია" და სწორედ ავსტრიელებთან მატჩისას გამოჩნდება, რამდენად მზად არის „დინამო" ევროტურნირის ამ დონეზე სათამაშოდ...

...ზოგადად, „რაპიდი" შინ უკეთ და უფრო დალაგებულად თამაშობს, ვიდრე სტუმრად. პირველი მატჩი კი თბილისშია და უნდა ვეცადოთ, ვენაში ისეთი ანგარიშით წავიდეთ, იქ თამაში შედარებით გაგვიიოლდეს.

დავით დიღმელაშვილი: უეფას თასის პირველი ეტაპი გავიარეთ, ეროვნული ჩემპიონატიც კარგად დავიწყეთ და გასაკვირი არ არის, რომ გუნდში ამაღლებული განწყობაა. ცხადია, მოგების იმედი გვაქვს. „რაპიდი" არ ჩანს ის გუნდი, რომლის დამარცხებაც „დინამომ" ვერ შეძლოს. ვნახოთ, ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ და თუ გაგვიმართლა, მოგება „დინამოს" დარჩება...

რამდენიმე წუთში კი „მიხეილ მესხს" რამდენიმე ავტობუსი მოადგა. ნახევრადშიშველი, ტატუირებული და შეზარხოშებული ავსტრიელი ქალ-ვაჟები სტადიონის ტრიბუნაზე ჯგუფ-ჯგუფად, საკლუბო ლოზუნგების ძახილით შემოვიდნენ და მოედანზე თავისიანთა გამოჩენისას დიდი ყიჟინაც დასცეს. ერთი ქალბატონი სულაც „კუპალნიკით" დანავარდობდა „მიხეილ მესხის" სექტორებს შორის.





„რაპიდს" თბილისში ასზე მეტი ქომაგი ჩამოჰყვა და თუ დღეს „დინამოს" ფანობამ არ იყოჩაღა, ავსტრიელი ფეხბურთელები თავს ისე იგრძნობენ, როგორც შინ.

სტუმართა ვარჯიში რომ დაიწყო, რამდენიმე ავსტრიელმა ქომაგმა უკვე ტრიბუნაზე მჯდომი დუშან უჰრინი შენიშნა და მასთან გასაუბრება სცადა. ცხადია, ავსტრიელთა სურვილის მიუხედავად, გამარჯობის იქით სიტყვა აღარ წასულა, თუმცა „დინამოს" მწვრთნელის მიმართ ავსტრიელთა კეთილგანწყობა აშკარა იყო.

„რაპიდმა" კი „მიხეილ მესხზე" დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშა. მწვრთნელმა პეტერ პაკულტმა ორი მეკარის გარდა 18 შეგირდი ჯერ მოედნის ცენტრში შეკრიბა, მერე კი არაფრით გამორჩეულად, ჩვეულებრივ ავარჯიშა. გუნდი რვარვაზე გაყო, იყო „კვადრატები", კარში დარტყმები და ერთი ორი კომბინაციაც...

ნავარჯიშევს კი „რაპიდის" თავკაცმა ეს გვითხრა:

— ძლიერი მეტოქე გვყავს და რთული მატჩისთვის ვემზადებით. „დინამო" ავსტრიაში და მთლიანად ევროპაშიც სახელოვანი და ავტორიტეტული გუნდია, მაგრამ დღეს როგორ ფეხბურთს თამაშობს, კარგად არ ვიცი. ქართველებთან თამაში რომ იოლი არ არის და საქართველოში ბევრი კარგი ფეხბურთელია, ეს კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებიდანაც ჩანს — მისი რამდენიმე ინტერვიუ წამიკითხავს, სადაც ის ქართული ფეხბურთის სიძლიერეზე საუბრობს. მოკლედ, მძიმე მატჩისთვის ვემზადებით და დიდი სურვილი მაქვს, ჩემმა გუნდმა მოედანი უგოლოდ არ დატოვოს. სტუმრად გატანილი გოლი საპასუხო მატჩისას გამოგვადგება...

მერე მოედანზე „რაპიდი" „დინამომ" შეცვალა...

**ქობა ინასარიძე**

# ხმით გადაფარული ვარჯიში

**თბილისის** „დინამომ" ვარჯიში დათქმულ დროზე ოდნავ გვიან დაიწყო, რადგან „რაპიდს" წვრთნა გაუგრძელდა.

ჩვეულებისამებრ, დინამოელთა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ვარჯიში მოთელვით დაიწყო.

ავსტრიელი გულშემატკივრების მსგავსად, რამდენიმე ქართველმა ქომაგმა ჩვენი ფეხბურთელებიც გაამხნევა, ამას კი სტადიონზე საკაოდ ბლომად მყოფი ავსტრიელების ღრიალი მოჰყვა და, აბა, რამდენიმე ქართველის შეძახილი მათ ხმას როგორ გადაფარავდა...

–უჰრინის თანაშემწემ კახა კაჭარავამ ფეხბურთელები მოედნის ცენტრში შეკრიბა და ბურთით წაავარჯიშა, შემდეგ კომბინაციები დაამუშავეს, იყო კარში დარტყმები და ბურთზე ორშეხებიანი ორკარა ნახევარ მოედანზე.

ბოლოს დინამოელებმა პენალტებზეც წაიმუშავეს და საათიანი ვარჯიშიც დასრულდა.

**ნუგზარ ლოლაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩი

თბილისი. 15 აგვისტო. 17.30 საათი. ამერი. 300 მაყურებელი

**საქართველო U19 3:1 აზერბაიჯანი U19**

1:0 შონია (5), 2:0 ფანცხავა (9), 2:1 ჯავადოვი (35), 3:1 ღვინიაშვილი (67)

საქართველო: მაკარიძე (დგებუაძე 46), ღვინიაშვილი, ქვრივიშვილი, გაბუნია, ცუცქირიძე (კვანტალიანი 69), შონია, თარგამაძე (ბეგლარიშვილი 27), მაისურაძე, ჯოხაძე (ვაჩიბერაძე 46), ყენია (წულაძე 83), ფანცხავა (ხოკერაშვილი 39)

სათადარიგო: ჩარგეიშვილი

მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი

აზერბაიჯანი: უმაროვი (სადიგოვი 74), ჯაბრაილოვი (ვაჰაბზადე 73), ნარიმანოვი, მამადოვი (ჰაგვერდიგევი 72), რახიმოვი (ბირიგევი 87), მედვედევი, ჯავადოვი (მუსტაფაგიევი 61), ხაგიევი, ალიევი, ყულიევი (ქარიმოვი 16), სულთანოვი (ბაირამოვი 72)

სათადარიგონი: ახმადოვი, ალმამადოვი

მწვრთნელი: არიფ ასადოვი

გაფრთხილება: მედვედევი (9, 16), ნარიმანოვი (67), სადიგოვი (83), ყენია (83)

გაძევება: მედვედევი (16)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თორდია, ზ. ფიფია



# ჰაინც ტოპმიოლერი გონებით ხედავს

## იახში ქართველებისა გამოვიდა

**ქართველები** მეზობლებს შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდნენ — სხვადასხვა მიზეზთა გამო ჰაინც ტოპმიოლერმა 5-6 წამყვანი მოთამაშე მოისაკლისა. ამის მიუხედავად, ქართველებმა მოგება მაინც შეძლეს, თუმც, იყო მომენტები, კაცნაკლული მეტოქე აშკარად უკეთ რომ გამოიყურებოდა.

ფეხბურთელი აზერბაიჯანელებს მე-16 წუთზე გაუგდეს. ამ დროს მასპინძლები უკვე 2:0-ს იგებდნენ. შესაძლოა, მეტოქის რიცხვნაკლულობამ დათვური სამსახურიც კი გაუწია ქართველებს — 20-წუთიანი მონაკვეთი სტუმრებისა გამოდგა და გოლიც გაიტანეს.

საწყისი წუთები კი ქართველებისა იყო. დავით თარგამაძე და ლევან ყენია შესანიშნავად ირჯებოდნენ. განსაკუთრებით თარგამაძე, რომელმაც მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა, თუმც საჯარიმოებს მარჯვენა ფეხითაც შესანიშნავად ატრიალებდა და ორი გოლი სწორედ მის სტანდარტულებს მოჰყვა.

ყენიას ნიჭსა და ტალანტზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ. გუშინაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო, თუმც საკუთარ თავზე თამაშს ნაკლებად ილებდა და ჩვეულზე იშვიათად ამწვავებდა ხოლმე.

ყენიამ მედვედევს 15 წუთში აჰკიდა ორი ყვითელი, კარგი პასებიც აკეთა (ერთი საგოლე), მაგრამ ის აკლდა, რაც „ამერთან" ჩემპიონატის ბოლო ტურში — მეტი მოძრაობა და ჟინი.

ერთიც: ცოტა ზედმეტს კამათობს მოედანზე და აკი, მეტოქესთან კინკლაობის გამო ყვითელიც მიიღო.

გამოსარჩევია თემურ შონიაც. მან საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა, თუმც შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და გოლიც გაიტანა — თარგამაძის ჩაწოდებული თავით დაარტყა, რომელიც ოსმან უმაროვმა მოიგერია, თუმც შონიამ მეტოქის მცველებსაც დაასწრო და თავის თავდამსხმელებსაც.

მეტს ველოდით ვახტანგ ფანცხავასგან. მართალია, შესანიშნავი თავური დარტყმით ბურთი გაიტანა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ინერტულად გამოიყურებოდა.

როგორც გაირკვა, ფანცხავას ტრავმა ჰქონდა და შეცვლაც თავად მოითხოვა.

პირველ ტაიმში ყველაზე სუსტი დაცვის მარჯვენა ფრთა იყო და ეს გასაკვირიც არ არის — ამ პოზიციაზე თავდამსხმელმა რევაზ ღვინიაშვილმა ითამაშა. ეს ტოპმიოლერმაც შენიშნა და მეორე ტაიმში ღვინიაშვილი ნახევარდაცვაში ასწია, სადაც უკეთაც გაისარჯა და გოლიც გაიტანა.

ტოპმიოლერს მეტი მუშაობა მოუწევს მცვლელებთან, რომლებიც რამდენჯერმე პოზიციურად შეცდნენ. აზერბაიჯანელებს გოლის გარდა კიდევ ორი აშკარა საგოლე მომენტი ჰქონდათ.

ჰაინც ტოპმიოლერი: რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გვაკლდა, რომლებსაც უნდა დავეყრდნოთ — ზესტაფონელები ამირან სანაია, ნიკა კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, ემპოლელი ლევან მჭედლიძე და პორტუგალიურ „გიმარაეშში" მოთამაშე ლევან ბლაგიძე, ამიტომ ძირითადად გამოუცდელებით მოგვიწია თამაშმა და მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი...

...ამ ასაკში ყველა ფეხბურთელზე მაქვს წარმოდგენა. შესარჩევი ეტაპისთვის 30-32 მოთამაშის სია მაქვს, მაგრამ გონებაში უკვე მყავს გუნდი, რომელიც შესარჩევ ეტაპს ჩაატარებს.

...ახლახან მთელი საქართველოს მასშტაბით ვნახეთ ამ ასაკის ფეხბურთელები და მათგან ერთმა, ქუთაისის „ტორპედოს" მოთამაშე ჯემალ გაბუნიამ დამარწმუნა, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. ერთადერთი, ვისი ნახვაც მინდა საქმეში, „ციურიხში" მოთამაშე გიორგი ივანიშვილია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჩემი ხელი ფრაიბურგს ხელს ვერ შეუშლის

## დავით თარგამაძე დაბადების დღეს ელის

საქართველო 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელმა დავით თარგამაძემ აზერბაიჯანელებთან მატჩში მოედანზე 27 წუთი გაატარა, თუმცა ამ მცირე დროშიც მოასწრო, მაყურებლისთვის თავის მოწონება — თარგამაძემ მარცხენა ფრთაზე მცველებიც ააწიოკა და სტანდარტულებიც შესანიშნავად შეასრულა.
მერე კი მარტივ სიტუაციაში უხერხულად დაეცა და ხელი მოიტეხა. ფეხბურთელი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს, თუმც მატჩის დასრულებამდე სტადიონზე ისევ დაბრუნდა და ჩვენც მაშინ გავესაუბრეთ...



— რა გითხრეს ექიმებმა?

— ალბათ სამი კვირა მომიწევს იძულებითი დასვენება.

— არადა, მალე „ფრაიბურგში" უნდა წასულიყავი. ეს ტრავმა ალბათ ხელს შეგიშლის...

— ფრაიბურგში თვის ბოლოს მივდივარ — ერთწლიან ვიზას მიკეთებენ. ტრავმა კი ხელს იმაში თუ შემიშლის, რომ თაბაშირით ვიქნები, თან უვარჯიშებელი. ისე, ჩემი შესაძლებლობები იქ იციან და როგორც ჩავალ, კონტრაქტს გავაფორმებ.

— რა ვადიანი კონტრაქტია?

— სამწლიანი.

— არასრულწლოვანი რომ ხარ, პრობლემა არ შეგექმნება?

— აქამდე კი იყო ასე, მაგრამ ერთ კვირაში 18 წლის ვხდები და არანაირი პრობლემა აღარ იქნება. ჩემს მენეჯერს ყველაფერი მოგვარებული აქვს.

— შენი მენეჯერი ვინ არის?

— ანდრეას ბორნემანი. ისაა ალექსანდრე იაშვილის მენეჯერიც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ფანცხავას საფრანგეთი

## ლე მანი დღეების ამბავია

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი ვახტანგ ფანცხავა მალე საფრანგეთს მიაშურებს და „ლე მანთან" სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ფანცხავას საქართველოსა და აზერბაიჯანის 19-წლამდელთა მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ, რომელშიც გოლით გამოირჩა...

„წელი მაწუხებდა და სამკურნალოდ უკრაინაში ვიყავი. ცოტა ახლაც მტკივა, სამი თვის უვარჯიშებელი ვარ, ზედმეტი წონაც მაწუხებს. ამიტომ ჩემი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ — გვითხრა ფანცხავამ — რაც შეეხება საფრანგეთში წასვლას, 20-დან 24 აგვისტომდე უნდა ჩავიდე და კონტრაქტსაც გავაფორმებ".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ფეხბურთი

თბილისი – ამერი

უმაღლესი ლიგა. მეორე ტური

17 აგვისტო

ამერი — დილა

თბილისი — გორი

დასაწყისი 17.15 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

პირველი 100 მყიდველი ბილეთთან ერთად პროფესიული ფეხბურთის ლიგის ლატარიის ბილეთს მიიღებს

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები


მუტარელიმ გოლიც გაიტანა და წითელიც მიიღო

AFP

**ლაციო (იტალია) 1:1 დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)**
0:1 დანჩილესკუ (22), 1:1 მუტარელი (53)
*როკიმ (ლაციო) ვერ გაიტანა პენალტი (38)*
*გაძევება: ბეჰრამი (72, ლაციო), მუტარელი (86, ლაციო), გოიანი (90, დინამო)*

**რეინჯერსი (შოტლანდია) 1:0 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)**
1:0 ნოვო (90)

**ბენფიკა (პორტუგალია) 2:1 კოპენჰაგენი (დანია)**
1:0 რუი კოშტა (25), 1:1 ჰატჩინსონი (35), 2:1 რუი კოშტა (86)

**ვალენსია (ესპანეთი) 3:0 ელფსბორგი (შვედეთი)**
1:0 ვისენტე (7), 2:0 დავიდ სილვა (58), 3:0 მორიენტესი (70)


ხოაკინი საგოლე პასებით გამოირჩა

# ძვალები და ზებრები

## ზურგი, ფეხი და ყბა — დანით თამაში რომში

**დანით** ერთი ზურგში დაჭრეს, მეორე ფეხში, კიდევ სამი სცემეს და მათი გუნდის ფეხბურთელებს „ბოშები“ უძახეს. ასე დაუხვდნენ „ლაციოს“ მემარჯვენე ფანები ბუქარესტის „დინამოს“ და რუმინელ ქომაგებს. ხუთივე დაზარალებული ჰოსპიტალში გააქანეს.

საავადმყოფოში წასაყვანი გახდა ლაციოელი ედმილსონ კრიბარიც, რომელსაც მეტოქესთან შეჯახების შედეგად ყბა გაუტყდა და ოთხშაბათსვე ოპერაცია გაუკეთეს. სტუმრებსაც დაემტვრათ ორი ფეხბურთელი: ზიკუ და ნასტასე პირველივე ტაიმში შეცვალეს. ყბამოტეხილ კრიბარის სანამ შეცვლიდნენ, „ლაციო“ ათი კაცით იყო და „დინამომ“ ამ დროს გაიტანა — დანჩულესკუ მუტარელიზე მაღლა ახტა და ბურთი თავით ცხრიანში შეჭედა.

ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე რანდუმ აშკარად ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმოში და მსაჯმა პენალტი დანიშნა. მასპინძლები ნორვეგიელი არბიტრისგან რადუს გაძევებას ამაოდ ითხოვდნენ, ტომაზო როკის კი პენალტი ბოგდან ლობონტმა აუღო.

მასიმო მუტარელიმ მეორე ტაიმში თავისი შეცდომაც გამოასწორა და როკისაც — დე სილვესტრის ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლეედ დაუხვედრა.

მატჩის მიწურულს მოედანზე „დაცხა“ და ჯერ ვალონ ბეჰრამი გააძევეს უხეშობისთვის, მერე მასიმო მუტარელიც მიაყოლეს მსაჯთან კამათის გამო.

„ბევრი რამ მოხდა მოედანზე ამ საღამოს, მაგრამ გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ — თქვა „ლაციოს“ მწვრთნელმა დელიო როსიმ — „დინამო“ თერთმეტი კაცით დაცვაში იდგა და ასეთ მეტოქესთან მოგება ძნელია. ვფიქრობ, რომ შანსები მაინც თანაბარია. რადუ ნამდვილად გასაძევებელი იყო, მეორე ტაიმში კი კიდევ ერთი პენალტი გვეკუთვნოდა.“

„ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელად პარასკევს დანიშნულმა მილორად კოშანოვიჩმა უსამართლო უწოდა „რეინჯერსთან“ მარცხს, მაგრამ სჯერა, რომ მის გუნდს შინ მეტოქის დამარცხება ძალუძს.

„ჩემმა ფეხბურთელებმა ისე ითამაშეს, როგორც დავავალე და მადლობელი ვარ თავდადებისთვის. ისინი წაგებას არ იმსახურებდნენ. „რეინჯერსს“ გაუმართლა, ბოლო წუთზე რომ გაიტანა. მასპინძლებს კარგი გუნდი ჰყავთ და მათ უკეთ ითამაშეს, ვიდრე მე ვივარაუდე. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ შინ მეტოქეს დავამარცხებთ.“

„რეინჯერსის“ თავკაცი უოლტერ სმიტი: „ანგარიშით კმაყოფილი ვარ. ორივე გუნდმა ცოტა მომენტი შექმნა და მხოლოდ მატჩის ბოლოს გაიხსნა თამაში. მეორე მატჩის დასრულებისას გამოჩნდება, რამდენად მნიშვნელოვანია ნოვოს გოლი. ძალიან კარგია ისიც, რომ არ გავუშვით.“

ნაჩო ნოვო მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და მაკკალოხის თავური პასით ათიოდ მეტრიდან შეაგდო ბურთი კარში.

ამ ზაფხულს „რეინჯერსმა“ დამარკუს ბისლი, ჟან-კლოდ დარშეველი და დანიელ კუზინი იყიდა, მაგრამ მაინც ძველი ესპანელის გოლით მოუგო „ცრვენა ზვეზდას“.

„ბენფიკა“ და „კოპენჰაგენი“ შარშან ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ და ლისაბონში მატჩი 3:1 დასრულდა. ამჯერადაც კარგად დაიწყეს „არწივებმა“ და რუი კოშტამ შორიდან დარტყმით დააწინაურა მასპინძლები, მაგრამ ათი წუთის შემდეგ „კოპენჰაგენმა“ გაათანაბრა. მარკუს ოლბოკის ჩაწოდებული ბურთი ბესკო ლუიზაომ შორს ვერ გადააგდო საჯარიმოდან და ჰატჩინსონმა კიმს ახლოდან გაუტანა.

ამის მერე ლუიზაო დაშავდა და იგი ფრედი ადუმ შეცვალა. ასე შედგა ამერიკელი ფორვარდის დებიუტი ევროთასებზე.

მეორე ტაიმში „ბენფიკა“ უტევდა და ოსკარ კარდოზოს კრისტინსენმა ორჯერ ურთულესი ბურთი აუღო, მაგრამ „კოპენჰაგენის“ მეკარემ იმ საღამოს რუი კოშტასთან ვერაფერი გააწყო. „ბებერმა“ პორტუგალიელმა მარჯვენა ფეხით ისევ შორიდან ჩასვა ბურთი დანიელთა კარში.

„ვალენსიამ“ საპასუხო შეხვედრაში თუ არ დაიძინა, „ელფსბორგი“ ამ წყვილიდან გამსვლელი არაა.

დავიდ სილვას დარტყმის მერე მეკარის მოგერიებულს ვისენტემ დაამატა და ანგარიში ისევ გახსნა. მეორე ტაიმში სხვაობა სილვამ გაზარდა მას შემდეგ, რაც ხოაკინმა მარჯვენიდან ჩააწოდა, ხოლო მესამე გოლი მორიენტესმა ასევე ხოაკინის პასით შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფიფამ ერთი შვიდზე გაყო


ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი

**ფიფამ** მსოფლიოს საკლუბო თასის (ყოფილი საკონტინენტთაშორისო და შემდეგ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი) საპრიზო ფონდი მილიონი დოლარით გაზარდა. გარდა ამისა, წლეულს ტურნირში, რომელიც 7 დეკემბერს ტოკიოში დაიწყება, ექვსის ნაცვლად შვიდი გუნდი ითამაშებს.

ამგვარად: ფონდში 16 მილიონი იქნება. ჩემპიონს ხუთი ერგება, მეორეს — ოთხი, მესამე ადგილს კი — 2 მილიონ 500 ათასი. მეოთხეადგილოსანი ორს წაიღებს, მეხუთე-მეექვსეზე გასულები თითოს მიიღებენ, მეშვიდეს ნახევარი მილიონი დარჩება.

წინა სამ ტურნირში ექვსი გუნდი მონაწილეობდა. მათ წლეულს მასპინძელი ქვეყნის ჩემპიონი დაემატება, რომელიც პირველ მატჩში ოკეანეთის გამარჯვებულს („ვეიტეიკერ იუნაიტედი“, ახალი ზელანდია) შეხვდება. „ვეიტეიკერის“ გარდა ცნობილია კიდევ სამი მონაწილე: „მილანი“, „ბოკა ხუნიორსი“ და მექსიკის „პაჩუკა“.

2000-ში ტურნირი „კორინთიანსმა მოიგო, 2005-ში „სან პაულუმ“, შარშან კი „ინტერნასიონალმა“ ფინალში „ბარსელონა“ დაამარცხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

კაფე „ჩარგალი“
გთავაზობთ სასიამოვნო საღამოს უგემრიელეს სამზარეულოსთან ერთად
* დიდი ეკრანი
* ცივი ლუდი
მობრძანდით, გაერთეთ და დაისვენეთ!
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. №57ა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სვენი პრობლემები და ექსპერიმენტი



ზუსტად რომ ვთქვათ, ბოლოს ეს 2006 წლის 25 ივნისს მოხდა. სად მოხდა? შტუტგარტში. ეს იყო თამაში, რომლის ბედიც დევიდ ბექემის დარტყმამ გადაწყვიტა. ამ დარტყმის წყალობით ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა.

კეთილი, მაგრამ რა დღე იყო ასეთი, რა მოხდა ამ დღეს განსაკუთრებული, ისეთი, მერე რომ არ გამეორებულა?

ამ დღეს შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა თამაში მოიგო. მას მერე ერიკსონის გაწვრთნილმა გუნდმა აგერ ახლა, გასულ შაბათს გაიმარჯვა 2:0, ოღონდ ეს უკვე აღარ იყო ინგლისის ნაკრები, ეს გახლდათ „მანჩესტერ სიტი“, რომელმაც პრემიერლიგის ჩემპიონატის პირველ ტურში „აპტონ პარკზე“ გაიმარჯვა...

## რა ნავსი გატეხა ერიკსონმა და რა ნავსის გატეხვა აქვს დაგეგმილი

რა დრო გასულა ერიკსონის ბოლო გამარჯვებიდან, არა? მაშინდელი გოლის ავტორი, ბექემი, ახლა ლოს ანჯელესში სათადარიგოთა სკამზე ზის და გამოჯანმრთელებას თუ მეორე ახალგაზრდობას ელის, მწვრთნელი კი ერთწლიანი უქმობის შემდეგ ორომტრიალს დაუბრუნდა და როგორც ჟურნალისტებს განუცხადა, ამით ბედნიერია.

ჟურნალისტებმა ერიკსონთან საუბარი სწორედ მისი ბოლო გამარჯვებით დაიწყეს.

„როდის იყო ეს? ვის ვეთამაშებოდით? ოჰ, რასაკვირველია, ეკვადორს! — ერიკსონის სახეს ფართო ღიმილი გადაეფარა. როგორც ჩანს „ვესტ ჰემთან“ გამარჯვებამ ძველი გემო გაახსენა — არ დაგიმალავთ, კვირა დილით ბიჭები რომ შევყარე, დიდი მადლობა გადავუხადე. მადლობა იმისთვის, რომ ერთი წლის დავიწყებული შეგრძნება გამახსენეს, საფეხბურთო მატჩში გამარჯვების შეგრძნება. ახლა თავს საუცხოოდ ვგრძნობ, გამარჯვებას ხომ არაფერი სჯობს“.

კვლავ შეიგრძნო თუ არა ერიკსონმა გამარჯვების ტკბილი განცდა „დერბი ქაუნთისთან“ შეხვედრაში, „სარბიელის“ მკითხველმა ამ დილით უკვე იცის. „სარბიელის“ მკითხველისთვის, ცხადია, ისიც ცნობილია, მოახერხა თუ არა საკუთრივ „მანჩესტერ სიტიმ“, გამარჯვებას ვინ ჩივის და, თუნდაც გოლის გატანა საკუთარ სტადიონზე — ისტენდერებს ასეთი რამ ხომ ახალი წლის შემდეგ ვერ მოეხერხებინათ.

„ამდენი ხანია?! — გაოცდა ერიკსონიც იმდღევანდელ პრესკონფერენციაზე — არა უშავს, მომავალ შობამდე ერთს რამენაირად მოვახერხებთ“.

ისე, დიდი ხანი არ არის, რაც სვენ გორან ერიკსონი „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელია, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში მან უკვე მოახერხა 38 მილიონ გირვანქად რვა ახალი ფეხბურთელის ყიდვა. მეტიც, ერიკსონი ამბობს, რომ აგვისტოს ბოლომდე, ანუ სატრანსფერო სეზონის დახურვამდე „სიტი“, სულ ცოტა, ერთ და მაქსიმუმ სამ ფეხბურთელს კიდევ იყიდის. ხოლო რვა ახალწვეულიდან შვიდი შაბათს „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ მოედანზე იყო.

„დღე ისე არ გასულა, ტაქტიკურ საკითხებზე მეტისმეტად სერიოზულად რომ არ გვემუშავა და გასაოცარი შედეგიც მივიღეთ. „ვესტ ჰემთან“ თამაშმა გვაჩვენა, რომ გუნდმა სულ მოკლე ხანში აითვისა ჩვენი ჩანაფიქრი. ახლა, მთავარია, ყოველ მომდევნო შეხვედრაში ნაბიჯი უკან კი არა, წინ გადავდგათ“.

პირველ ტურში გამარჯვებამ ერიკსონს კარგი საქმე გაუკეთა, გუშინ „დერბი ქაუნთისთან“ შეხვედრის წინ მას სავსე სტადიონი შეეგება, 42 ათას ინგლისელს კი მისი შვედური სახელი კარგა ხანია, არ უყვირია.

მაგრამ, ბუნებრივია, არსებობენ კრიტიკოსებიც. აი, მაგალითად კრიტიკოსები, რომლებიც „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელებს ეროვნული კუთვნილების მიხედვით აანალიზებენ ამბობენ, რომ ერიკსონს რავავე ახალწვეულის საზღვარგარეთიდან მოყვანა არ მართებდა და წერენ, რომ „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში მან თერთმეტ კაცში მხოლოდ ორი ინგლისელისთვის გამონახა ადგილი.

„ვიცი, მე მაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ინგლისელებს კი არა, უცხოელებს ვყიდულობ, მაგრამ აქ საქმე აშკარა პრობლემასთან გვაქვს: მე რომ ელანოს ან მარტინ პეტროვის დონის ინგლისელის ყიდვა მომინდეს, სამჯერ მეტი უნდა გადავიხადო, ვიდრე ამ ორი კაცის ყიდვის შემთხვევაში გადავიხადე. ასეთ პირობებში რის გაკეთებას მიბრძანებთ?

...მეორე მხრივ, ჩვენს გუნდში ინგლისის ნაკრების ერთი წევრია და ადგილობრივი აკადემიიდანაც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის“.

ნაკრების წევრი, რომელიც ერიკსონმა ახსენა, მიკა რიჩარდსია, რომელსაც შვედმა „ვესტ ჰემთან“ მატჩში საკმაოდ მოულოდნელ 4-2-3-1 განლაგებაში მოუძებნა ადგილი.

სხვათა შორის, ერიკსონის მიერ ასეთი განლაგების გამოყენებამ, ფაქტობრივად, მთელი ინგლისი აალაპარაკა, „მანჩესტერ სიტის“ ფანებიც და სხვებიც. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისის ნაკრების სათავეში დგომისას შვედი 4-4-2-ის გარდა ერთ სქემასაც არ მიმართავდა, რამდენი არ უკიჟინეს, მაგრამ ჯიუტად იდგა თავისაზე და მორჩა, ახლა კი...

„როდესაც კლუბში მუშაობ, გაცილებით მეტი უნდა სცადო და თამაშის მეტი ვარიანტი მოსინჯო, ვიდრე ნაკრების მწვრთნელად ყოფნისას. აქ ფეხბურთელები ყოველდღე ჩემს განკარგულებაში არიან, ინგლისის ნაკრებში კი მათ იშვიათად ვავარჯიშებდი“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ანდერსონი, რომელიც ანდერსონია

**ანდერსონმა** თქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ კრიშტიანუ რონალდუმ მიიზიდა.

ეს არცაა გასაკვირი, ინგლისის ჩემპიონის 17-მილიონგირვანქიანი შენაძენი აქამდე „პორტუში“ თამაშობდა, „პორტუ“ პორტუგალიის გუნდია, კრიშტიანუ რონალდუ კი პორტუგალიელი გახლავთ და 19 წლის ბრაზილიელს მანჩესტერში გადასვლის აგიტაციას უწევდა.

ანდერსონი: „მე და კრიშტიანუ კარგი მეგობრები ვართ და მანჩესტერელთა ამბავიც სწორედ მისგან ვიცი. აქაურობის შესახებ კრიშტიანუ მიამბობდა, მან მითხრა, თუ რაოდენ დიდი კლუბია „მანჩესტერ იუნაიტედი“...

...„მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა მარტო ჩემთვის კი არა, მსოფლიოს ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ოცნების ახდენაა. აქ გადმოსვლამ ნამდვილად გამახარა და ძალიან მინდა, რაც შეიძლება, უკეთ წარმოვჩნდე...

...ვიცი, მანჩესტერელებს ჩემი შეძენა კარგა ხანია, უნდოდათ, მაგრამ, მაშინ მე და ჩემმა აგენტმა ავწონ-დავწონეთ და მივხვდით, რომ დაცდა უკეთესი იქნებოდა. საქმე ის არის, რომ მაშინ „პორტუში“ კარგად გამოვდიოდი და ასეთ დროს, უცებ, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გაქცევა ჩემზე ზედმეტ ზეწოლას მოახდენდა...

...მაგრამ, როდესაც გავიდა დრო და ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კვლავ გამოიჩინა ჩემ მიმართ ინტერესი, ვიგრძენი, რომ აი, ახლა კი ზედმიწევნით კარგი დრო იყო ტრანსფერისთვის. როდესაც ასეთ დიდ კლუბში თამაშის საშუალება გეძლევა, ის ხელიდან არ უნდა გაუშვა“.



„მანჩესტერის“ ახალწვეულები: კარლოს ტევესი და ანდერსონი

ანდერსონი იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, ბურთით ჟონგლიორობა და ტრიუკები რომ უყვართ. ამის გამო მას რონალდინიოსაც კი ადარებდნენ, თუმცა თავად მოკრძალებული კაცი ჩანს და ამბობს, რომ რონალდინიომდე ჯერ ძალიან ბევრი აკლია.

„მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ რონალდინიო საყოველთაოდ დამკვიდრებული უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, ის ორჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ. ის დიდებული ბიჭი და ჩემი მეგობარია, თუმცა ჩვენ ორი სხვადასხვა მოთამაშე ვართ, რონალდინიო რონალდინიოა და ანდერსონი — ანდერსონი. ის დიდი ფეხბურთელია და მე ვიმედოვნებ, რომ ოდესმე მის სიმაღლეებს მივაღწევ“.

**ბაჩუნა ძიძია**

## ინგლისი

**პრემიერლიგა. II ტური**

**ტოტენჰემი 1:3 ევერტონი**

0:1 ლესკოტი (3), 1:1 გარდნერი (26), 1:2 ოსმანი (37), 1:3 სტაბსი (45)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, კაბული (როჩა 18), გარდნერი, სტალტერი (რუტლეჯი 67), ზოკორა, ჯენასი, მალბრანკი, რობი კინი, ბერბატოვი, დ. ბენტი (დეფო 61)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, ფ. ნევილი, კარსლი, არტეტა, ჯონსონი, ანიჩებე (იაგელკა 80)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: მალბრანკი, ჯენასი
მსაჯი: ჰელსი
35 716 მაყურებელი

# ბოლო ადგილზე ორმოც მილიონად



AFP

„ტოტენჰემმა“ „ევერტონს“ ვერაფერი დააკლო

**ჩემპიონთა** ლიგაში კი არა, ჩემპიონლიგაში შეიძლება აღმოჩნდეს „ტოტენჰემი“, ასე თუ გააგრძელებს. 40 მილიონი გირვანქა დახარჯეს ამ ზაფხულს და ორი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე არიან.

მარტინ იოლის მისვლის დღიდან „ტოტენჰემმა“ 100 მილიონ გირვანქამდე გაისროლა, მაგრამ „მამლებს“ ჯერ არაფერი მოუგიათ.

პირველ ტურში სტუმრად „სანდერლენდთან“ მარცხის შემდეგ, „უაით ჰართ ლეინზე“ მარტინ იოლის გუნდისგან „ევერტონის“ ძლევას ელოდნენ ქომაგები, თუმც საკუთარ კარში გაშვებული სამი გოლი ნახეს.

„შეიძლება კარგ ფორმაში იყო, მაგრამ გოლს მალე რომ გაგიტანენ, იბნევი. 45 წუთში სამის გაშვება კი კატასტროფაა, მით უმეტეს, „ევერტონთან“, რომელსაც ძლიერი დაცვა ჰყავს და გათანაბრებას ველარ შეძლებ. ჩვენი დაცვა კი აშკარად ვერ ამართლებს და რაღაცის შეცვლა მომიწევს“ — თქვა „ტოტენჰემის“ თავკაცმა.

მიკელ არტეტას პასით და ახლოდან თავური დარტყმით ჯეისონ ლესკოტმა „ევერტონი“ დააწინაურა. თავითვე გაქვითა ენტონი გარდნერმა, მაგრამ მასპინძლების სიხარული 11 წუთს გაგრძელდა — ლეონ ოსმანმა „ევერტონის“ მაისურით მეასე მატჩში შეაგდო გოლი, რასაც ტაიმის მიწურულს ალან სტაბსის საჯარიმოდან გატანილი მოჰყვა.

ნამატჩევს „ევერტონის“ ფანები მღეროდნენ: „ჩვენ ცხრილის თავში ვართ!“, ხოლო „ტოტენჰემს“ ქომაგებმა უსტვინეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გაზა და ტანგო



**პოლ გესქოინს** ეტყობა, ლუდის სმაც მოსწყინდა და ყინულზე სრიალით გართობა გადაწყვიტა.

ბრიტანული BBC 1-ის რეალითი შოუში პრიტანელი ვარსკვლავები ყინულზე ციგურებით ტანგოს იცეკვებენ და „გაზაც“ ამ ამბავში გაერია.

იგი ძალიან ლიპიანი აღარაა, რადგან ცოტა ხნის წინ ოპერაცია გაიკეთა, კუჭი დაიპატარავა და ცოტა ჩამოთხელდა.

მსგავსი ოპერაცია თავის დროზე ლეგენდარულ დიეგო მარადონასაც გაუკეთეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უბრალოდ, მზად იყავით! ვაშა, ჩვენ პრობლემა გვაქვს!



AFP

**გამკაცრდა** და გასასტიკდა რაფა ბენიტესი, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ. მთელი წლის განმავლობაში ამას უნდა ელოდოთო, განუცხადა თავის ფეხბურთელებს.

მიუხედავად იმისა, რომ წუხელ პრემიერლიგის მეორე ტური ჩატარდა, პირველი მოვლენებით იმდენად მდიდარი და საინტერესო გამოდგა, რომ ახლაც მასზე გესაუბრებით. აი, მაგალითად, რით არ არის მნიშვნელოვანი თემა: ბენიტესმა გასულ შაბათს „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ არც პიტერ კრაუჩი ათამაშა, არც ხავიერ მასკერანო და არც იოსი ბენაიუნი. მერედა, თემას ასეთი გაგრძელება მოჰყვა, „ლივერპულის“ მწვრთნელმა საოთხშაბათოდ, ანუ ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი მატჩის ჩასატარებლად საფრანგეთში არ წაიყვანა ჟერმენ პენანტი.

მიმომხილველები და საქმეში ჩახედული ადამიანები ამტკიცებენ, რომ ასეთებს ჯერ კიდევ უნდა ველოდოთ.

მართალიც არის, აბა, რა, რად უნდა ამას მიმომხილველი და სპეციალისტი, რაფა ბენიტესმა ამ ზაფხულზე 40 მილიონ გირვანქაზე მეტი დახარჯა და ისეთი ვარსკვლავები შეიმატა, როგორებიც გახლავან, მაგალითად, ფერნანდო ტორესი და რაიან ბაბელი; ინგლისური გუნდის ესპანელ მწვრთნელს მთავარ გუნდში 24 მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისა და უნარის ფეხბურთელი დაუგროვდა, რაც, ბუნებრივია, იმას ნიშნავს, რომ ის არჩევას დაიწყებს, ფეხბურთელებს კი ძირითადში ადგილი გარანტირებული არ ექნებათ.

რაც ვთქვით, თითქოს ლოგიკურია, მაგრამ პიტერ კრაუჩმა ეს ლოგიკა არად ჩააგდო და ბენიტესს ახსნა-განმარტება მოსთხოვა, რამაც ესპანელი სპეციალისტი გაახარა კიდეც. საქმე ის გახლავთ, რომ ბენიტესი „ლივერპულს“ 2004 წელს ჩაუდგა სათავეში და მას მერე მუდმივად მოკლე სკამს უჩიოდა, ახლა კი ერთბაშად 24 ძლიერი ფეხბურთელი იშოვა და მისთვის ეს პრობლემა (კრაუჩის უკმაყოფილება და სხვა ამდაგვარი) სანატრელ პრობლემათა რიგიდან არის. ბენიტესს მრავალგზის უთქვამს, რომ „ლივერპულის“ მასშტაბური რეკონსტრუქციის პროგრამა აქვს მოფიქრებული და ამ პროგრამის განხორციელება პრემიერლიგისა თუ ევროპის უდიდესი კლუბების მხარდამხარ სვლისთვის სჭირდება.

„დღეს ჩვენ ერთადერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ — ბევრი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ეს სწორედ ისაა, რასაც სულაც არ გავურბივართ — თქვა გახარებულმა ბენიტესმა — როგორც იქნა, ჩვენ იმ ხარისხისა და რაოდენობის მოთამაშე გვყავს, რაზეც ვოცნებობდით და იმედი მაქვს, რომ ამ მდგომარეობას აღარასოდეს არაფერი შეცვლის...

...რომელი ფეხბურთელი ათამაშო და რომელი სათადარიგოთა სკამზე ან სულაც ტრიბუნაზე დატოვო, ზოგადად მეტისმეტად ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი მდგომარეობა გუნდისთვის არის ჩინებული. ახლა მე მეყოლება ხალხი, რომელიც თავდადებით ივარჯიშებს, მერე კი ჩემთან მოვა და მეტყვის: „აი, მე როგორ ვმუშაობ, ჩემი დავიწყება არ შეიძლება“. მაგრამ, ერთი იცოდეთ, ამა თუ იმ ფეხბურთელის თამაშს გარეთ დატოვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე მასთან რაიმე პრობლემა მაქვს. პრობლემა არც კრაუჩთან მაქვს, არც მასკერანოსთან და არც პენანტთან. ფეხბურთი რაგბი არ არის, აქ, მოედანზე მხოლოდ 11 კაცის გაყვანა შეიძლება...

| 22:45 | 505 | როტერჰემი-უენსდი | 3.10 | 3.20 | 1.75 | 1.57 | 1.11 | 1.13 |
| | | ირლანდია. თასი | | | | | | |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 552 | უოტფორდი-სლიგო | 3.05 | 3.10 | 2.10 | 1.53 | 1.24 | 1.25 |
| 22:45 | 553 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 3.25 | 3.00 | 2.05 | 1.55 | 1.25 | 1.21 |
| | | სამხრეთ ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 524 | გოიასი-კრუზეირო | 1.90 | 3.10 | 3.35 | 1.17 | 1.21 | 1.61 |
| | | ნორვეგია. თასი | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 555 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2.40 | 3.20 | 2.40 | 1.37 | 1.20 | 1.37 |
| | | 19 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 556 | სტრიომსგოდსეტ-სტაბეკი | 2.55 | 3.20 | 2.25 | 1.41 | 1.19 | 1.32 |
| 21:00 | 557 | ლინი-ლილესტრიომი | 2.65 | 3.20 | 2.20 | 1.44 | 1.20 | 1.30 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# მეტრეველის ტრიუმფალური პარიზი

## 16 წლის ქართველს სიენა ევროლიგაში გამოცდის



ნიკა მეტრეველს პრიზი მიშელ პიეტრუსმა გადასცა

დღეს ქართულ საკალათბურთო წრეებში ნიკა მეტრეველზე ლაპარაკობენ. 16 წლისა და 210 სანტიმეტრი სიმაღლის ბიჭმა ბოლო თვეებში მართლაც შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა და თუ ასე გააგრძელა, ნბა-ს მორიგი ქართველი შეემატება. მეტრეველი 5-9 აგვისტოს პარიზში გამართულ ნბა-ს კემპის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისმა სახელმა უკვე ყველა ამერიკელი სკაუტის წიგნაკში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ესეც რომ არა, მეტრეველს ისედაც კარგად იცნობდა ევროპა. შარშან ის ევროპის კადეტთა ჩემპიონატის (B დივიზიონი) საუკეთესო მოთამაშე იყო, ხოლო ერთი თვის წინ ნიკა იტალიის ჩემპიონმა „სიენამ“ შეიმატა და ახლახან საევროლიგო განაცხადშიც შეიყვანა. მეტრეველი დღეს უკვე ახალ გუნდშია და ჩვენც მას სიენაში შევეხმიანეთ...

**— თავდაპირველად ის გვითხარი, როგორ მოხვდი პარიზის კემპზე?**

— პარიზში ჩემთან ერთად კოკა ტომარაძეც იყო, რომელიც ამ ზაფხულს „ბარსელონაში“ გადავიდა. მე კი „სიენამ“ გამიფორმა კონტრაქტი და ეს ფაქტი ალბათ საკმარისია საიმისოდ, რომ კემპზე მიწვევა მიმეღო. ამასთან, შარშან კადეტთა ჩემპიონატზე საუკეთესო გავხდი და როცა პარიზში ევროპის საუკეთესო 16-წლიანები შეკრიბეს, მე და კოკასაც გვიხმეს.

**— პარიზში საკმაოდ წარმომადგენლობითი კემპი გაიმართა, მწვრთნელებად არაერთი ვარსკვლავი იყო მიწვეული...**

— რა გასაკვირია, რომ თითქმის ყველა მწვრთნელ-ინსტრუქტორი ამერიკიდან იყო, ეს კემპი ხომ ნბა-ს ორგანიზებულია. ლუოლ დენგი, კრის დუჰონი, ბო აუთლო, ბორის დიაუ, მიშელ პიეტრუსი და ნბა-ს გუნდების რამდენიმე ასისტენტი მწვრთნელი — ამათ, სამწუხაროდ, ტონი პარკერი აკლდა, რომელმაც ტრავმა მიიღო და ვარჯიშებს გამოაკლდა. ეს იყო ძალიან დიდი სკოლა ჩემთვის და ალბათ ყველა მონაწილისთვის.

**— დაახლოებით 50 მონაწილე იყო და საუკეთესოდ შენ დაგასახელეს. ელოდი ასეთ წარმატებას?**

— არ ველოდი და გაოცებულიც დავრჩი, როცა ოლ სტარის შემდეგ ჩემი სახელი გამოაცხადეს — მეტრეველი MVP-ია. ბოლო მატჩი, ოლ სტარი, კარგად ვერ ვითამაშე და როცა ჩემი გვარი დაასახელეს და ერთ-ერთი ორგანიზატორი პრიზის გადმოსაცემად მომიახლოვდა, გაკვირვებული და დაბნეული შევხვდი, მეგონა, გაუგებრობა მოხდა. ამიხსნეს, რომ ოლ სტარის MVP ფრანგი ელიო გახდა, ხოლო მე მთლიანად კემპის საუკეთესოდ დამასახელეს. სწორედ ელიომ ითამაშა შესანიშნავად ოლ სტარში და იმიტომაც გამიკვირდა.

**— მანამდე როგორ თამაშობდი?**

— ზუსტი სტატისტიკა არ ვიცი, ისე კი ყველა მატჩში 10-ზე მეტი მოხსნა და ქულა მქონდა. მთლიანობაში კარგად ვითამაშე, საკმაოდ კმაყოფილი ვარ.

**— როგორი გრაფიკით წარიმართა კემპი?**

— პირველ დღეს, დილას, ყველამ ერთად ვივარჯიშეთ. სულ იყო სამი მოედანი. ყველა ფარის ქვეშ მწვრთნელი იდგა და მონაცვლეობით, 15-15 წუთი ყველასთან გვიწევდა წავარჯიშება. ანუ, გამოვიდა, რომ 6 ინსტრუქტორთან, თითოსთან 15 წუთი, ვივარჯიშეთ სხვადასხვა კომპონენტში. მერე ბრმად გაგვყვეს და 20-წუთიანი მატჩები გვათამაშეს ერთმანეთში. მე და კოკა ერთ გუნდში მოვხვდით. პირველი თამაში მოვიგეთ, მერე კი მე ფეხი ვიტკინე და მომდევნო მატჩი გამოვტოვე.

**— ტრავმა ხომ არ მიიღე?**

— არა, თუ რბილი და კომფორტული ფეხსაცმელი არ მაცვია, ტერფი მტკივდება. სანამ ჩემი შესაფერისი „ბოტასი“ მონახეს, მეორე მატჩი დამთავრდა. მესამეში ვითამაშე და მოვიგეთ.

**— ეს ყველაფერი პირველ დღეს მოხდა?**

— დიახ, სამი მატჩი ვითამაშეთ და გვითხრეს, საღამოს დრაფტი გაიმართება და გუნდებშიც განაწილდებითო. მე მოვხვდი „ფინიქსში“, კოკა ტომარაძე „სან ანტონიომ“ აიყვანა, სულ კი 6 გუნდი იყო — ამათ გარდა „დენვერი“, „ლეიკერსი“, „სიეტლი“ და „კლიპერსი“. ყველა გუნდს თავისი მწვრთნელი ჰყავდა. მაგალითად, „სან ანტონიოს“ გრეგ პოპოვიჩის ასისტენტი წვრთნიდა, ხოლო ჩვენს გუნდ „ფინიქსს“ ნაღდი „სიეტლის“ ერთ-ერთი მწვრთნელი თავკაცობდა.

**— ნბა-ს მოთამაშეთაგან ვისთან გიხდებოდა ყველაზე ხშირად ურთიერთობა?**

— მიშელ პიეტრუსთან, რომელმაც მკითხა, თუ საიდან ვიყავი. რომ ვუთხარი, საქართველოდან-მეთქი, ცქიტიშვილიო, ეგრევე მიხსენა. ცქიტიშვილს ვიცნობ-მეთქი, მივუგე და მეცო, მითხრა პიეტრუსმა. ისე კი, ყველასთან მქონდა ურთიერთობა.

**— „ფინიქსის“ მაისურით რამდენი თამაში მოიგე?**

— პირველ ორ შეხვედრაში ვიმარჯვეთ, მომდევნო ორ მატჩში კი ხელი მოგვეცარა.

**— სპეციალისტები არ დაინტერესებულან?**

— ნბა-ს არაერთი სკაუტი მოვიდა და შემაქო. თითქმის ყველა აგენტი დაინტერესდა ჩემი ვინაობით, მაგრამ უკვე დაგვიანებულია, ერთი თვის წინ „სიენასთან“ 8-წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

**— „სიენაში“ შეკრება როდის გეწყება?**

— უკვე კლუბში ვარ და ინდივიდუალურად, რამდენიმე მოთამაშესთან ერთად ვვარჯიშობ. ძირითადი ბირთვი 17 აგვისტოს ჩამოვა, ხოლო 20-დან ალპებში მივდივართ ერთკვირიან შეკრებაზე.

**— ძირითად გუნდზე ამბობ თუ ახალგაზრდულზე?**

— „სიენას“ ძირითად გუნდზე, მე დიდებთან ვივარჯიშებ და იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ვითამაშებ. თუმცა მწვრთნელმა მითხრა, ევროლიგაში შანსს მოგცემთო. ამ ევროტურნირის განაცხადში უკვე შემიყვანეს. ეს იმიტომ, რომ სერია A-ში უცხოელებზე ლიმიტია და „სიენას“ ლეგიონერებს ამ ეტაპზე კონკურენციას ვერ გავუწევ, ხოლო ევროლიგაში უცხოელებზე შეზღუდვა არაა.

**ირაკლი ბერტაია**



# კოპონენი: ფინელთა იმედი და ქართველთა ახალი საფიქრალი

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ევროსაკვალიფიკაციო შეხვედრებისთვის კი ემზადება, მაგრამ სპარინგ-მატჩები უკვე მოილია. ჩვენი მთავარი მეტოქე ფინეთი კი გამალებულ სპარინგშია და ახლახან ხორვატიულ ტურნირშიც ჩაება, სადაც მთლიანობაში 5 ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ფინელებმა უკვე 2 შეხვედრა მოილიეს — ინგლისს მოუგეს და ხორვატიასთან წააგეს. სკანდინაველებმა ლუოლ დენგის გარეშე მოთამაშე ბრიტანელები 80:63 დაამწუხრეს. სწორედ ინგლისი იყო, ერთი კვირის წინ საქართველოს 19 ქულით რომ მოუგო, თუმცა, როგორც ჩანს, „ჩიკაგო ბულზის“ ვარსკვლავი ამ გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. დენგის გარეშე ინგლისელები ძალიან სუსტები არიან და ლიდერ ჰანო მოტოლას გარეშე მოთამაშე ფინელებთანაც ასე უიმედოდ იმიტომ წააგეს.

სკანდინაველებს ულიდერა NBA-ს გასული დრაფტის 30-ე ნომერმა პეტერი კოპონენმა, რომელმაც ბრიტანელებს 19 ქულა ჩაუგდო, შონ ჰუფის ანგარიშზე 16 ქულა იყო, ხოლო იუკა მატინენმა 11 მოაგროვა.

ხორვატიასთან 68:103 წაგებულ მატჩშიც საუკეთესო კოპონენი იყო. ფინური კალათბურთის იმედმა 23 ქულა უთავაზა ხორვატებს, პეტრი ვორტანენის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

არც ერთ მატჩში თავი არ გამოუჩენია ცნობილ ტეემუ რანიკოს, რომელიც ქართველებს ყოველთვის სისხლს უშრობდა. ჯერჯერობით არ ჩანს ჰანო მოტოლა, ყველაზე ცნობილი ფინელი, რომელმაც ახლახან გააფორმა კონტრაქტი გორდონ ჰერბერტის „არისთან“. არ ჩანს და ძალიანაც კარგი...

ფინელები მომდევნო საკონტროლო მატჩს იტალიასთან გამართავენ.

**ირაკლი ბერტაია**


კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ბ დივიზიონი

25 აგვისტო

საქართველო vs ავსტრია

დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი

საქართველო vs ფინეთი

დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი PEOPLE'S BANK

GEOSPORT

HOTEL VARAZI


სუზანა კალური

# კაროლინ კლუფტი ნაწილ-ნაწილ და ერთად

**შვედეთის** მძლეოსნობის ფედერაციას ჯერ არ დაუსახელებია ოსაკაში წამსვლელთა ვინაობა, ამას ამ დღეებში გააკეთებს, მანამდე კი გასულ უქმეებზე ქვეყნის შიდა ჩემპიონატი ჩაატარა, სადაც პრაქტიკულად ყველა ძლიერი შვედი მძლეოსანი გამოვიდა გარდა სიმაღლეზე მხტომელი ქალის კაისა ბერგკვისტისა და სამმხტომელი კაცის კრისტიან ოლსონის. ორივეს მცირე ტრავმა აწუხებს და ამის გამო სეზონი მათთვის ისე მხიარულად ვერ ჩქეფს, ვიდრე სხვებისთვის. ისინი ოსაკაში გამოვლენ, მანამდე კი ისვენებენ და ესკილსტუნაში ჩატარებული ეს ტურნირიც გამოტოვეს.

შვედებს მაინც იმდენად მძლავრი სამძლეოსნო სკოლა და ტრადიციები აქვთ, რომ ორი გამორჩეული სპორტსმენის არყოფნა ჩემპიონატს ვერ წაუხდენდათ. ცოტა ქარმა მოუჟამა ხასიათი მორბენალ-მხტომელებს. მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა თარჯმორბენალმა ქალმა სუზანა კალურმა 100 თარჯებით შეჭედილი მეტრი, ამ ქარის გადამკიდემ, მხოლოდ 12,90 წამში დაფარა, რაც ამასწინათ სტოკჰოლმის სუპერ გრან-პრიზე ნაჩვენებ მის შედეგს 0,43 წამით ჩამორჩება, მაგრამ ამის მიუხედავადაც, მან უდიდესი უპირატესობით მოიგო — 0,67 წამით მიასწრო თავის უმცროს და ჯენის და 0,76 წამით — კაროლინა კლუფტს.

ცალკე აბზაცს ითხოვს კაროლინა კლუფტის ამბავი. ეს გოგო რომ მსოფლიოს უძლიერესი შვიდჭიდელია და ოსაკაშიც რომ მოიგებს, ამას არ სჭირდება ჩვენგან თქვენი დარწმუნება. მაგრამ კლუფტი მსოფლიო რეკორდს უმიზნებს და ახლა ის ცალ-ცალკე ამუშავებს შვიდივე სახეობას, გამოდის, ვთქვათ, თარჯრბენში, ან 200 მეტრ სირბილში, ან თუნდაც სიმაღლეზე ხტომაში და თავისთავად ვერ ჯობნის ამ დარგების სპეციალისტებს, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, მან შესამჩნევად მოუმატა შედეგებს, თუნდაც თარჯრბენში, სამხტომსა და ბირთვის კვრაში და თუ ფარსაგმა ტრავმამ არ უყელა, ოსაკაში კარგა გვარიანად უნდა გადააჭარბოს თავისივე მსოფლიო რეკორდს.

საინტერესო ბრძოლა იგეგმებოდა ორ მძლავრ სიმაღლეზე მხტომელ კაცს შორის — შტეფან ჰოლმმა და ლუის ტორბლადმა შარშანდელ ჩემპიონატზე ნამდვილი შოუ დადგეს და მაშინ ორივემ დაძლია 2,38-მეტრიანი სიმაღლე, მაგრამ ახლა ამ ქარის გადამკიდე, ამ სიმაღლეს ვერ ერთმა ვერ უწია. მოგება კი ჰოლმს დარჩა, რომელმაც ყველა ცდა უშეცდომოდ შეასრულა და ასე მივიდა 2,31 მეტრამდე. აქ მან პირველ ცდაზე თეძო გამოსდო თამასას და ჩამოაგდო, მეორეზე კი სუფთად დაძლია სიმაღლე და მერე 2,37-ს შეუტია, მაგრამ ჩაუფლავდა სამივე ცდა. ტორბლადმა კი 2,29 მეტრი აიღო და თითქოს 2,31-საც რიგიანად შეუტია, მაგრამ სამ ცდაზე ხან რა გამოსდო თამასას და ხან რა და პირველობაც უფრო სახელოვან თანამემამულეს დაუთმო.

ესკილსტუნაში არ იყო ოლსონი, მაგრამ ამ სახეობაში მაინც აღინიშნა ერთი კარგი შედეგი. ვინმე ანტონ ანდერსონს აქამდე პირად რეკორდად 16,70 მეტრზე ნახტომი ეწერა, ამ შედეგით კი ის ვერც კი იოცნებებდა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურზე, ახლა კი მან 17,10-მეტრიანი ნახტომი შეასრულა და ოსაკაში კრისტიან ოლსონს მარტოობას არ აგრძნობინებს.

**ბოტე ყორშია**



# მეორე წრის კანადელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კაცები**
ცინცინატი. აშშ.
მასტერსის სერია. ჰარდი.
საპრიზო 2 200 000 $

**პირველი წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 7:6 6:1; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ტომი ჰაასი (12, გერმანია) 3:6 7:6 6:3; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — ენდი მიურეი (14, ბრიტანეთი) 6:1 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — გილერმო კანასი (15, არგენტინა) 6:2 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — მარდი ფიში (აშშ) 7:5 7:6; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:4 6:7 6:3; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 6:4 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 7:5 3:6 7:6; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:1 3:6 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 2:6 7:6; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3 6:3; **ჟულიენ ბენეტუ** (საფრანგეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:4 3:6 6:3

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (3, აშშ) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:6 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 6:4 6:1

ტომი ჰაასი, ენდი მიურეი, გილერმო კანასი — ამ განთესილებმა ცინცინატის მასტერსზე თამაში პირველივე წრეში დაასრულეს. ამ სამიდან ყველაზე მოულოდნელი, ალბათ კანასის მარცხი იყო თანამემამულე დელ პოტროსთან. საგაზაფხულო მაგარსაფრობისას როჯერ ფედერერის ორჯერ მძლეველი არგენტინელი საზაფხულო ჰარდის სეზონს მეტად ულიმლამოდ ატარებს და ველარც უტიტულო თვისტომს მოერია.

ენდი მიურეი ტრავმიანობის შემდეგ ჯერაც ვერ არის ჩვეულ ფორმაში, თანაც მას მეტოქეც მეტად ძლიერი კვიპროსელი მარკოს ბაღდატისი ჰყავდა და დიდად, არც ჯანიანი ხორვატის, მარიო ანჩიჩის მიერ ჰაასის წაქცევაა გასაკვირი.

უფრო გვარიანი სენსაცია ის იქნებოდა, სტანისლას ვავრინკას ლეიტონ ჰიუიტისთვის რომ მოეგო. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბოლო ხანებში თითქმის მოგებული მატჩების წაგებებს დაეჩვია და ამ ჯერზეც, კინაღამ ასე მოხდა — მესამე სეტში ლეიტონი 3:0 იყო წინ, მაგრამ მეტოქეს დაწევის საშუალება მისცა და ტაიბრეიკზეღა გაძვრა მეორე წრეში.

ენდი როდიკი და იარკო ნიემინენი კი უკვე მესამე წრეში არიან. ენდიმ უპრობლემოდ აჯობა ფერნანდო ვერდასკოს და ბოლო 23 მატჩში მე-20 გამარჯვება იზეიმა, ხოლო ფინელმა მეტისმეტად ადვილად დაჯაბნა მე-7 ნომრად განთესილი ტომი რობრედო.


სტეფანი დიუბუა

**ქალები**
ტორონტო. კანადა. ჰარდი.
საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

**სიბილ ბამერი** (13, ავსტრია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:1 6:2; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — ალიონა ბონდარენკო (15, უკრაინა) 6:4 6:3; **სტეფანი დიუბუა** (კანადა) — აი სუგიამა (იაპონია) 6:7 6:4 7:5; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — არავან რეზაი (საფრანგეთი) 6:4 4:6 6:3; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:4 5:0 უარი; **ანდრეა კლეპაჩი** (სლოვენია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:3 6:1; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:3; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:2 6:3; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ემანუელ გალიარდი (შვეიცარია) 6:4 7:5; **მეგან შონესი** (აშშ) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:4 7:6; **მარი-ივ პელეტიე** (კანადა) — ეკატერინა შულაევა (რუსეთი 5:7 6:4 6:2

**მეორე წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:2 7:6; **შაჰარ პეერი** (11, ისრაელი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:3 6:2; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — კატარინა სრებოტნიკი (14, სლოვენია) 6:1 4:2 უარი

2001-05 წლებში ვერც ერთმა მასპინძელმა ვერ შეძლო კანადური სუპერტურნირის მეორე წრეში გაღწევა. ამ ხუთი წლის მანძილზე კანადელებმა, ჯამში პირველი წრის 15 მატჩი ჩაატარეს და თხუთმეტივე წააგეს. აი, წლეულს კი მეორე წრეში ერთბაშად სამი მასპინძელია და ასეთი რამ ბოლოს 1991 წელს მოხდა, როდესაც პირველი ბარიერი ელენ კელესიმ, პატრისია ჰუ-ბოულაზმა და რენე ალტერმა დაძლიეს.

ამჯერად ქომაგები სტეფანი დიუბუამ, ალექსანდრა ვოზნიაკმა და მარი-ივ პელეტიემ გაახარეს. პელეტიემ უცნობ რუს შულაევას აჯობა, ვოზნიაკს მეორე რუსის, როდიონოვას ტრავმა დაეხმარა, ხოლო WTA-ს რეიტინგში 115-ე ადგილზე მყოფმა დიუბუამ უაღრესად დაძაბულ მატჩში მსოფლიოს 27-ე ჩოგანი, იაპონელი აი სუგიამა დასცა და გვარიანი სენსაცია მოახდინა.

ეს კანადელები უფრო შორს, ალბათ ვერ წავლენ — პელეტიე მეორე წრეში ელენა იანკოვიჩს ხვდება, დიუბუა — ნადია პეტროვას, ხოლო ვოზნიაკის მეტოქე მშვენიერ ფორმაში მყოფი სიბილ ბამერია, მაგრამ მერე რა — მათ უკვე გააკეთეს საქმე, ქომაგი გაახარეს და ეს ქომაგი მეტის მომთხოვი ნამდვილად არ არის.

პირველი წრის სხვა მატჩებიდან იტალიელი მარია ელენა კამერინის მიერ უკრაინელი ალიონა ბონდარენკოს ძლევა უნდა გამოვყოთ. დიდიც არაფერი, მაგრამ თავიდან მე-15 ნომრად განთესილი უკრაინელი 4:0 დაწინაურდა და თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ მერე ბონდარენკო დადგა და მეტოქეს ხონჩით მიართვა გამარჯვება.

**კახა ლომჯარიძე**

# სოფო და რუსები

**რუსეთის** ქალაქ პენზაში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ქალთა 50-ათასიან ტურნირზე ქართველმა სოფო შაფათავამ წარმატებით დაძლია საკვალიფიკაციო ეტაპი და ძირითად ბადეში შეაღწია. კვალიფიკაციის მესამე და გადამწყვეტ წრეში სოფოს მეტოქე 19 წლისა და რეიტინგში 682-ე ადგილზე მყოფი რუსი მარია ზარკოვა იყო და ქართველმა მას სამ სეტში — 6:4 4:6 6:3 მოუგო.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში შაფათავა კიდევ ერთ რუსს, მე-4 ნომრად განთესილ 20 წლის ანა ლაპუშენკოვას შეხვდება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 263-ე პოზიცია უკავია.

თუ ამ ლაპუშენკოვას მოუგებს, მერე სოფოს ისევ რუსი შეხვდება — ან ანასტასია პოლტორაცკაია, ანაც კვალიფიკაციიდან წამოსული ტატიანა კოტელნიკოვა.



# ქართველების კონსულტანტმა საქართველო დაამარცხა

## აჟენი 31:13 საქართველო

საქართველო: ჯიმშელაძე, ხამაშურიძე, გიგაური, დ. კაჭარავა, შკინინი, კვირიკაშვილი, აბუსერიძე; ჩხაიძე, ლაბაძე, ი. მაისურაძე, გორგოძე, ზედგინიძე (კაპ), ზირაქაშვილი, ა. გიორგაძე, მაგრაქველიძე
შეცვლაზე შევიდნენ: ბარკალაია, ელიზბარაშვილი, სამხარაძე, შველიძე, კოპალიანი, დათუნაშვილი, სუთიაშვილი
1ლ: ი. მაისურაძე; 1ბ: კვირიკაშვილი; 2ს: კვირიკაშვილი

**საფრანგეთში** მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ნაკრებმა მესამე სპარინგმატჩი გამართა იქაურ „აჟენთან“ და დიდი სხვაობით 13:31 დამარცხდა.

„აჟენამდე“ ჩვენები ელიტარულ კლუბ „ოშს“ და აჟენის ახალგაზრდულ გუნდს ეთამაშნენ და ორჯერვე წააგეს. ახლა ჩვენები „აჟენის“ ძირითად შემადგენლობას ერაგბნენ. „აჟენი“ წლეულს დაქვეითდა ელიტარული ლიგიდან მეორე დივიზიონში. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ კლუბს უკვე ერთი თვეა, საქართველოს ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი წვრთნის. იქამდე ბრონკანი „ოშის“ მწვრთნელი იყო, ეს კლუბი ელიტაში აიყვანა და „აჟენთან“ კი, უკვე კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, როდესაც მისმა ახალმა გუნდმა თამაში თამაშზე წააგო და ელიტიდან გავარდა.

გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით ჩვენი „ლელოების“ მენეჯერ ვასილ აბაშიძეს, რომელმაც მატჩზე ეს გვითხრა: „პირველ ტაიმში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. წინა მატჩებთან შედარებით თითქმის მთლიანად გამოსწორდა მორკინალების თამაში. რაქში, მოლში, გადაყრაზე ბიჭებმა აშკარად აჯობეს მეტოქეს, რომელსაც ძალისმიერი თამაშით არაფერი გამოსდიოდა. მეორე ტაიმში კი ბრონკანმა „აჟენის“ ტაქტიკა შეცვალა და ბურთის ზურგსუკან ფეხით ჩაკიდება დაიწყეს. აქ კი აირია ჩვენი დაცვა, ბიჭებიც დაიღალნენ და შედეგად სამი ლელო მივიღეთ. მთლიანობაში, ანგარიშის მიუხედავად, მწვრთნელები უკმაყოფილო არ დარჩენილან. რაც მთავარია, ბრონკანმა ისეთი ტაქტიკით ათამაშა „აჟენი“, რომ საქართველოს სუსტი წერტილები ნათლად გამოჩენილიყო. ახლა უკვე ვიცით, ყველაზე მეტად სად გვჭირდება მუშაობა.“

ერთიც, „აჟენის“ შემადგენლობაში მეორე ტაიმში ითამაშა ქართველმა ბურჯმა ანტონ ფეიქრიშვილმა.

**ბაჩო სვანიძე**

# დამალობანა მორჩა
## დრაკონი ბუნაგიდან გამოდის



იან ევანსი

**ამ ცოტა ხნის** წინ ინგლისური რაგბის მექაში „თვიქნემის“ სტადიონზე „ვარდებთან“ უელსელი „დრაკონების“ 5:62 წაგება ფარსი იყო და მეტი არაფერი. იმ ეგრეთ წოდებულ ამხანაგურ მატჩში ინგლისელებმა უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანეს თავისი უილკინსონ-რობინსონ-დალალიოთი, ხოლო უელსელთა მწვრთნელმა გარეტ ჯენკინსმა, მხოლოდ თვითონ რომ იცის და არავის რომ არ უთხრა იმ მიზეზით, მთელი შემადგენლობა დამალა და ინგლისთან მხოლოდ ოთხი კაცი ათამაშა იმ 30-დან, რომელიც მსოფლიოს თასისთვის შეუგულებია. ამიტომაც განადგურნდნენ „დრაკონები“ ისტორიულ მტერმოყვარე ინგლისთან ისე, როგორც არასდროს არ განადგურებულან.

მაგრამ მორიგი ტესტისთვის ჯენკინსმა უკვე საბრძოლო შემადგენლობას უხმო. მისი გუნდი შინ ხვდება მეტ-ნაკლებად ტოლძალოვან მეტოქე არგენტინას და აქ უკვე უაზროა კუკუ-დამალობანას თამაში. ეგაა, ჯენკინსს საფიქრალი მაინც აქვს, რაკი ზედ მსოფლიოს თასის წინ მის გუნდს ტრავმაიანობა მოეძალა, თუნდაც მეორეხაზელი იან ევანსი, რომელსაც დეკემბრის მერე არ უთამაშია და იყო იმედი, ახლა მაინც დაეხმარებოდა თავის გუნდს. თუმც გამოცდილი მორკინალი არგენტინასთან თამაშსაც გააცდენს და ვინ იცის, იქნებ არც ეყოს გამოსაჯანმრთელებლად მსოფლიოს თასამდე დარჩენილი დრო. იგივე ითქმის უელსის ძირითად 10 ნომერ სტივენ ჯონსზეც, რომელიც გუნდის ნამდვილი მესაჭე იყო, ახლა კი დამტვრეულია და ცდება.

არგენტინასთან გუნდს ძველი კაპიტანი გარეტ ტომასი გაუძღვება მოედანზე, რომელსაც უკანა ხაზში ყველა პოზიციაზე აქვს ნათამაშები, ახლა კი შიდა შუამარბად, 12 ნომრად დადგება.

რაც შეეხება არგენტინას, „პუმების“ მწვრთნელს ჯერ არ ჩამოუწერია „დრაკონებთან“ დასაპირებელი შემადგენლობა, უელსის რაზმი კი ასე გამოიყურება:

*უელსი: მორგანი, ჯეიმსი, შალკინი, გ. ტომასი (კაპ), მ. ჯონსი; ჰუკი, პილი; დ. ჯონსი, რაისი, ა. ჯონსი, გუ. ად. ჯონსი, ჯ. ტომასი, მ. უილიამსი, პოპჰემი*

*სათადარიგოები: რ. უილიამსი, გ. ჯენკინსი, შარვისი, ფილიპსი, სვიტნი, რობინსონი*

# რუმინეთი დაირაზმა

**საქართველოს** ნაკრების მარადიულმა და პრინციპულმა მეტოქემ რუმინეთმა სამსოფლიოთასო 30-კაცა შემადგენლობა დაასახელა. კარპატელთა ფრანგი მწვრთნელის რობ ანტონინის რჩეულებში ვერ მოხვდა გამოცდილი მორკინალი კოსტიცა მერსოუ, ვისაც „ბუქარესტის“ 23 წლის ფორვარდი კოზმინ რაციუ შეცვლის.

რუმინეთის ნაკრებში ყველაზე ახალგაზრდა 20 წლის უკანახაზელი კატალინ ფერჩუა, ყველაზე ასაკოვანი კი 34 წლის მორკინალი რაზვან მავროდინი. „მუხის ფოთლებს“ საფრანგეთში აყლაყუდა მიმწოლი სორინ სოკოლი უკაპიტნებს, ხოლო ვიცე-კაპიტანი ყველაზე სტაჟიანი მენაკრებე რომეო გონტინიაკი იქნება. რუმინელთა მელელოვეს ნაკრებში 71-ჯერ უთამაშია, რაც მსოფლიო დონეზეც კი გადასარევი შედეგია.

**ბაჩო სვანიძე**

## რუმინეთი მსოფლიოს თასზე

**მორკინალები:** პეტრუ ბალანი, ბოგდან ბალანი, ცეზარ პოპესკუ, პეტრიშორ ტოდერაშკი, სილვიო ფლორია, მარიუს ტინკუ, რაზვან მავროდინი, სორინ სოკოლი, კრისტიან პეტრე, ვალენტინ ურსაჩე, აგუსტინ პეტრიჩეი, ოვიდიუ ტონიცა, კოზმინ რატიუ, ფლორინ კოროდიანუ, ალექსანდრუ მანტა, ალექსანდრუ ტუდორი

**უკანა ხაზი:** ვალენტინ კალაფატიანუ, ლუჩან სირბუ, იონუც დიმოფტე, იონუც ტოფანი, რომეო გონტინიაკი, ჩაბა გალი, მარინ დუნბრავა, დან ვლადი, კატალინ ფერჩუ, იონ ტოდერაშკუ, გაბრიელ ბრეზოიანუ, იულიან დუმიტრაში, ფლორიან ლაიკუ, კატალინ ნიკოლაი

იანიკ ჟოზიონი



# ბერნარ ლაპორტს ოკეანე და შამპანური გაუხარდა

**ამ უქმეებზე** მსოფლიო რაგბის ბობოლები ერთხელაც ეტესტებიან ერთმანეთს, მერე კი იმ მწვრთნელებს ვისაც ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ ვინ ათამაშონ მსოფლიოს თასზე და ვინ არა, სამსოფლიოთასო განაცხადის შევსება მოუწევთ, რაკი ბოლო ვადა ამ სამშაბათს იწურება.

უქმეების გამორჩეული რაგბობა მარსელში იქნება. საფრანგეთი ინგლისს მასპინძლობს, რომელსაც ერთი კვირის წინ სტუმრად „თვიქნემზე“ 21:15 მოუგო. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა უკვე დაასახელა სამსოფლიოთასო 30-კაცა რაზმი, ფრანგთა თავკაცი ბერნარ ლაპორტი კი ამ მატჩის შემდეგ შეავსებს განაცხადს.

„ცხადია, უკვე ვიცი, ვის დავეყრდნობი მსოფლიოს თასზე, მაგრამ ერთ-ორ მორაგბეზე ვჭოჭმანობ და ინგლისთან მატჩში მათ აუცილებლად გამოვცდი. თუ დამარწმუნეს თავიანთ შესაძლებლობებში, განაცხადშიც მოხვდებიან“ — განაცხადა ლაპორტმა.

ფრანგმა ჟურნალისტებმა კი გათვალ-გამოთვალეს და იმ ერთიორი მორაგბის ვინაობას გააცხადეს, რომლებსაც განაცხადში მოხვედრის ბოლო შანსი აქვთ. ესენი სავარაუდოდ „ტულუზის“ მორკინალი ტიერი დუზე და ინგლისური „შარქსის“ პირველხაზელი სებასტიან ბრუნო არიან. ინგლისთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს იანიკ ჟოზიონი, რომელიც ერთი კვირისწინანდელ ჯახში დაშავდა. თავდაპირველი ვარაუდით ჟოზიონს თითქოს მუხლის მძიმე ტრავმა ჰქონდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ საგანგაშო არაფერია და ხუთდღიანი უქმობის შემდეგ აგერ ინგლისთანაც ირაგბებს. ჟოზიონის ამბავმა ძალიან გაახარა ბერნარ ლაპორტი: „თავიდან ძალიან შევშინდი, ვაითუ „ჟოზი“ მსოფლიოს თასისთვის დაგვაკლდესმეთქი, მაგრამ ორ დღეში მითხრეს, რომ იგი უკვე მზად იყო. მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა, ამას ღამით ოკეანისპირას ნებივრობას და ცივი შამპანურის წრუპვას შევადარებდი“.

ლაპორტმა ის 22 კაციც დაასახელა, ამ შაბათს ინგლისს რომ დაუპირისპირდება, ეშტონი კი შემადგენლობას ხვალ გააცხადებს. საფრანგეთი ამ რაზმით ითამაშებს:

*მორკინალები: სებასტიან ბრუნო, რაფაელ იბანიესი, ნიკოლა მასი, ოლივიე მილუ, ჟან-ბატის პულიონელ ნალე, ფაბიენ პელუ, ჟერომ ტიონი, ჟერომ ბონე, ტიერი დუზე, იმანოლ არინორდოკი, იანიკ ნიანგა*

*უკანა ხაზი: ჟან-ბატის ელისალდე, პიერ მინიონი, ფრედერიკ მიშალაკი, დავიდ სკრელა, იანიკ ჟოზიონი, დამიენ ტრაი, კრისტოფ დომინისი, კრისტოფ ჰეიმანსი, ორელინ რუჟერი, კრისტიან პოიტრინუ*

უნივერსიადა

## 24-ე სტუდენტური უნივერსიადა
### ბანგკოკი, ტაილანდი, 8-18 აგვისტო

# მინდიამ და ბექამ ვერ იგრიგოლეს

გრიგოლ შინჯიკაშვილის ოქრო ბანგკოკურ მსოფლიოს უნივერსიადაზე ჯერაც ერთადერთი ქართული მედალია. გუშინ ოთხი ჩვენებური ჩაერთო შეჯიბრში. ორმა დაასრულა, ორი დღესაც გააგრძელებს და თუ საქმე კარგად წავიდა, ეგებ ხვალ მედლებისთვისაც იბრძოლონ. მხატვრულად ტანმოვარჯიშეებმა თათია დონაძემ და ქეთევან ხატიაშვილმა სახტუნელათი და რგოლით ვარჯიშის ჯამში მეცხრე და მეთერთმეტე ადგილები დაიკავეს. მრავალჭიდის კიდევ ორი ვარჯიში (გურზები და ლენტა) დღეს გაიმართება და ქართველებს ცხრილში ადგილის გასაუმჯობესებლად უკეთესად გამოსვლა მართებთ.

ძიუდოისტების, მინდია ხომიზურისა (66 კგ) და ბექა ბაიდაურისთვის (73 კგ) კი ტაილანდის უნივერსიადა დასრულდა. ხომიზურმა ტურნირი ჩინელი იაომინგ იანგის ნახევარ წუთში დაიპონებით კი გახსნა, მაგრამ მერე ეგვიპტელ აჰმედ აბუელქერთან კოკათი წააგო და რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოს გზაზე ბელარუსი ალექსეი სტაუში, პოლონელი ტომაშ კოვალსკი და ტაილანდელი სიაო-ჩუნგ სუნგი ჩამოიცილა, ხოლო გამოცდილ სომეხთან არმენ ნაზარიანთან ვეღარას გახდა და მეხუთე ადგილზე გავიდა. ბაიდაურმა თავიდანვე წააგო უზბეკ მუმინ ნაბიევთან, ამ ნაბიევმა ნახევარფინალამდე ვეღარ მიაღწია და ბექამ ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

დღეს ტანმოვარჯიშეების გარდა, ტურნირში მსუბუქი და აბსოლუტური წონის ძიუდოისტები, ვახტანგ ხოსიტაშვილი და ადამ ოქრუაშვილი ჩაერთვებიან.

**ოთარ მალლაკელიძე**

ველორბოლა



**ფლოიდ ლენდისს** ლოდინი მობეზრდა. 2006 წელს „ტურ დე ფრანსის" მომგებმა, მაგრამ მერე დოპინგსკანდალში გახვეულმა და ტიტულჩამორთმეულმა ამერიკელმა ველომრბოლმა ვეღარ მოიცადა სასამართლო პროცესი. სამი თვის წინ მან აპელაცია შეიტანა,

# მთას დაუბრუნდა ლენდისი

მაგრამ მას შემდეგ სიტყვაც არ სმენია. ამბობს, ლოდინზე მეტად გაუგებრობა მღლისო.

ახლა ლენდისმა ერთგვარი გასართობი იპოვა... დიდ გზაზე გამოსვლამდე ის სამთო ველომრბოლი გახლდათ და რაკი ამ ექსტრემალურ სახეობაზე ანტისადოპინგო სამსახურის გავლენა არ ვრცელდება, არავინ უშლის მთებში იჯირითოს ველოთი. ამ უქმეებზე ის კოლორადოს შტატში დაბა ლიდვილში გახლდათ, სადაც კორდილიერების მთაგრეხილის განთქმულ კლდოვან მთებში გამოსცადა თავისი სიჩაუქე. თავის დროზე ლენდისი პერსპექტიულ სამთო მრბოლად ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ კარგა ხანია, ფარეხში ეყენა მთის ველო და ეს ახლაც შეეტყო, როცა დისტანციის დასაწყისშივე ერთ მოსახვევში (შუქნიშნიანი მოსახვევი არ გეგონოთ, ტყეში და ღრეში გზაც კი ძნელი გასარჩევია) ხის ფესვს გამოედო, დაეცა და მუხლიც გადაიყვლიფა. მაგრამ იმდენად მონდომებული [illegible] გზა სულ [illegible] გაფრინა და საბოლოოდ [illegible] ამერიკის ხუთგზის ჩემპიონ დეივ ვეინზს ჩამორჩა. ექსტრემის მოყვარულმა დამსწრე პუბლიკამაც ცოდნით შეაფასა „დიდი ავიაციიდან" მობრუნებული ყოფილი თავისიანის თავზეხელაღებული გამოსვლა და ტაში და სტვენა არ მოაკლო.

რაც შეეხება გადაყვლეფილ მუხლს, ექთანმა მას კარგა სქელი სახვევი დაადო, რომელიც რამდენიმე წუთში წითლად შეიღება და მალევე დასჭირდა გამოცვლა. მოკლედ, ლენდისს „შინ დაბრუნება" დაღვრილ სისხლად დაუჯდა. მერე ხუმრობდა — აღარასოდეს მივქარავ და მთებში აღარ ვიქროლებო, თან იქვე დასძინა, ბედნიერი ვარ, რომ მოვბრუნდი, რადგან უქმად და ასე გაურკვევლობაში ყოფნას მირჩევნია, რამე ვაკეთოო.

**კოტე ყორშია**

# გერმანიის აღმართები

**„გერმანიის ტურის"** მე-5, სამთო ეტაპი, რომელიც ზონტჰოფენიდან ზოლდენამდე 158 კილომეტრზე იყო გაჭიმული, „კაისე დეპარნის" ესპანელმა მრბოლმა დავიდ ლოპეს გარსიამ მოიგო.

ესპანელმა მთებში 4 საათი, 21 წუთი და 7 წამი იარა და 12 წამით აჯობა მასპინძლების ფავორიტს, დანიური CSC-ის მრბოლ იენს ფოიგტს. მესამე, გამარჯვებულთან 19-წამიანი ჩამორჩენით „რაბობანკის" ჰოლანდიელი რობერტ გეზინკი იყო, ხოლო წინა ეტაპის მომგებმა, „ლამპრეს" იტალიელმა დამიანო კუნეგომ 33-წამიანი ჩამორჩენით მეოთხემ უწია ფინიშს.

საერთო ჩათვლაში წინ კვლავაც ფოიგტია. ლოპეს გარსიამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ლიდერთან 33 წამსლა აგებს. გეზინკი მესამეა და ფოიგტს წუთითა და 14 წამით ჩამორჩება.

რიგით მე-10 „გერმანიის ტურის" დასრულებამდე ოთხი ეტაპი დარჩა. აქედან მესამე, ანუ ბოლოსწინა, 33-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და გამარჯვებულის ვინაობაც, ალბათ იქ გაირკვევა.



დავიდ ლოპეს გარსია გერმანელმა ქომაგებმაც გაამხნევეს

# T-მობაილი ველოსპორტში რჩება

**გერმანული** კომპანია „T-მობაილი" კვლავაც გააგრძელებს ამავე სახელწოდების მქონე გერმანული გუნდის სპონსორობას, მიუხედავად ბოლო ხანს მომხდარი სადოპინგო სკანდალებისა. კომპანიის პრეს-ატაშემ კრისტიან ფრომერტმა ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა, რომ 2010 წლამდე გათვლილი კონტრაქტი არ დაირღვევა და კომპანია მას ბოლომდე შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ ახლახან დასრულებული „ტურ დე ფრანსის" მსვლელობისას „T-მობაილის" ერთ-ერთი მრბოლი პატრიკ სინკევიჩი დოპინგზე ჩავარდა და გუნდის ხელმძღვანელები შიშობდნენ, რომ „T-მობაილი" გაწყვეტდა კონტრაქტს და საერთოდ წავიდოდა ველოსპორტიდან.

ჭიდაობა



# დარჩია რჩეულებს ბორჯომში აარჩევს

**ბერძნულ-რომაული** სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა რუმინული შეკრება რომ ტურნირით დაასრულა და თბილისში ექვსი მედალი წამოიღო, ორშაბათს გაცნობეთ. ინფორმაციის ერთადერთი წყარო მაშინ მოჭიდავეთა ოჯახები აღმოჩნდა, რომელთაც რუმინეთიდან ტელეფონით შეატყობინეს ტურნირის ამბები. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამაც ამ ცნობაზე დაყრდნობით მოგვაწოდა ქართული გუნდის მონაგარი, ოღონდ სიზუსტის გარანტია ვერ მოგვცა.

ნაკრების წევრები თბილისში დაბრუნდნენ თუ არა, ინფორმაცია გადავამოწმეთ და ორი შეცდომაც ვიპოვეთ. 74 კილოგრამში მოჭიდავე მანუჩარ კვირკველიამ და მძიმეწონოსანმა რევაზ ჭელიძემ ბრაშოვის ხალიჩიდან ბრინჯაო კი არა, ვერცხლი გამოიტანეს. სულ ბეგი დარჩიას გუნდმა ერთი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონი ბადრი ხასაია (84 კგ) გახდა, მეორე ადგილზე კვირკველია-ჭელიძის გარდა მამუკა ხოზრევანიძე (55 კგ) და დავით ბედინაძე (60 კგ) გავიდნენ. ლაშა ლომაძემ კი მესამე საპრიზო დაიკავა. უმედლოდ მხოლოდ გურამ ფერსელიძე (120 კგ) დარჩა. თუმცა კვარცხლბეკთან ისიც ძალიან ახლოს იყო — რეპეშაჟის ფინალი წააგო და მეხუთე ადგილი დაიკავა.

ბრაშოვში ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი რამაზ ნოზაძეც ჩავიდა, მაგრამ ტურნირზე არ უჭიდავია.

„რამაზმა ტრავმა უკვე ბოლომდე მოირჩინა და მთელი კვირა სრული დატვირთვითაც ივარჯიშა, მაგრამ ხალიჩაზე მისი გაყვანა მაინც არ გავრისკეთ, რადგან შეიძლებოდა, მდგომარეობა ისევ გაერთულებინა" — გვითხრა გუშინ ბეგი დარჩიამ.

ცხადია, მწვრთნელს პირველ რიგში მსუბუქი და მძიმე წონების მთავარ კანდიდატებზე დავეკითხეთ. ხოზრევანიძემ და ჭელიძემ ბრაშოვში ფინალს კი უწიეს, მაგრამ საშემოდგომო შემადგენლობაში მოხვედრა ჯერ მაინც არ გაუნაღდებიათ.

„მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს დამატებითი დატვირთვაც აქვს. ეს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებია, რომლებიც რვა-რვა საუკეთესოს გადაეცემა, ამიტომ საბოლოო შეიდეულის დასახელებას ჯერ არ ვჩქარობთ. ჯობს, ბიჭებს კიდევ დავაკვირდეთ და შიდა კონკურენციაში საუკეთესოები დასკვნით შეკრებაზე, ბორჯომში დავასახელოთ. იქამდე კი ერთი გასვლითი შეკრებაც გვექნება. 19 აგვისტოს ორი კვირით მინსკში მივემგზავრებით. 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიების გარდა ყველა წონაში ორ-ორ მოჭიდავეს წავიყვანთ" — დასძინა დარჩიამ.

**ოთარ მალლაკელიძე**

მოტორბოლა

# დოქტორის მილიონები



**კვირას** ბრნოში მოტომრბოლები ჩეხეთის გრან პრისთვის გაიჯირითებენ. ესაა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მე-12 ეტაპი, რომელსაც შვიდგზის გვირგვინოსანი ვალენტინო როსი უგუნებოდ ხვდება. როგორი ამბავია, იტალიის ფინანსური უწყება სახელოვან და მდიდარ თანამემამულეს 60 მილიონი ევროს გადასახადისგან თავის არიდებაში სდებს ბრალს.

იტალიელი „დოქტორი" ვალენტინო ექვსი წლის წინ ლონდონში დასახლდა და საშემოსავლო გადასახადებსაც ინგლისში იხდის. მაგრამ როგორც გაირკვა, იგი დეკლარაციაში თავისი შემოსავლების სრულ თანხას არ აღნიშნავდა, სარგებლობდა რა რეზიდენტის სტატუსით, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე. ამ სტატუსმა როსის საშუალება მისცა, დაერეგისტრირებინა ის შემოსავალი, რომელიც მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მიიღო.

ამგვარი ვითარება ჩემპიონისთვის სახარბიელო ვერაა. შესაძლოა, მალე საქმეში სასამართლო ორგანოები ჩაერთოს, ანდა როსი იტალიის სახელმწიფოსთვის 240 მილიონი ევროს გადახდით დააჯარიმონ.


AFP კურშეველიდან

# ზაფხულის ზამთრობა

ზაფხული კია, მაგრამ საფრანგეთის ალპებში, კურშეველში ტრამპლინის მსოფლიო თასის მონაწილენი დიახაც შეკრებილან. ნორვეგიელი ანდრეს იაკობსენი აბიბინებული ბალახის თავზე მიფრინავს, გერმანელი კრისტიან იაკობსენი კი — მაყურებლების.


AFP კურშეველიდან

# სოლარ-მზის მანქანები

ამ მანქანას ნუნა ჰქვია და ჰოლანდიაში,. დფის სარბოლზე გადის ტესტირებას. სოლარის (მზის ენერგიის) კლასის მანქანები ოქტომბერში ავსტრალიაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს საჩვენებელ ჩელენჯში. თუ ამ კლასმა გაამართლა და მზის ენერგიამ მანქანებს სიჩქარე მოთხოვნისამებრ მისცა, ათ წელიწადში ისინი ეგებ ქუჩაშიც ვიხილოთ.



AFP

## მანჰეიმის ნახტომები


AFP მანჰეიმიდან

გერმანულ მანჰეიმში ევროპის საუკეთესო ცხენოსნები შეკრებილან და დაბრკოლებათა გადალახვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს გერმანელი კრისტიან ალმანია, რომელიც თავის „კოეტერზე" ამხედრებული დამაჯერებლად გრძნობს თავს.

# სამხტომი



AFP ლოს ანჯელესიდან

ჰიუსტონელი კეტბურთელები ასე ერთობლივი ნახტომით ზეიმობენ ლოს ანჯელესში იქაური „დოჯერსის" დამარცხებას. კარლოს ლიმ (მარცხნიდან) კრის კურკმა და ლუკ სკოტმა ნამდვილი სამხტომი გასნიეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge